



# სასაგარეო რეზერვის შეღებვის შიფასება

საქმეთა ელექტრონული განაწილება  
დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა



# სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება

საქმეთა ელექტრონული განაწილება  
დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Justice

ადამიანის უფლების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი  
**EMC**  
Human Rights Education and Monitoring Center



დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

**ანგარიშზე პასუხისმგებელი:** სოფო ვერძეული, ლევან ავალიშვილი  
**ანგარიშის ავტორები:** მარიამ მხატვარი, მაია ტალახაძე, ქეთევან კუკავა

**ქართული ტექსტის რედაქტორი:** ნინო კალატოზიშვილი  
**მთარგმნელი:** თამარ ნადირაძე, ნინო კარანაძე  
**დამკაბადონებელი:** თორნიკე ლორთქიფანიძე  
**გარეკანი:** სალომე ლაცაბიძე

ტირაჟი: 150  
ISBN: 978-9941-8-0232-4

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო  
ტელ.: +995 032 2 23 37 06

[www.emc.org.ge](http://www.emc.org.ge)  
[info@emc.org.ge](mailto:info@emc.org.ge)  
<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

# სარჩევი

შესავალი .....	7
მეთოდოლოგია.....	8
ძირითადი მიგნებები.....	9

<b>საქმეთა განაწილების ახალი სისტემა სასამართლოში .....</b>	<b>13</b>
კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ჩარჩო .....	14
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი რეგულაციები .....	15
საგამონაკლისო შემთხვევები.....	16
საქმეების კოლექტიური განხილვა.....	21
საქმეთა თანაბარი განაწილების უზრუნველყოფა .....	23
მოსამართლისათვის საქმეების განაწილების შეჩერების/საქმის	
სხვა მოსამართლისთვის დროებით გადაცემის შემთხვევები .....	28
აცილების/თვითაცილების შემთხვევაში საქმეთა ხელახალი განაწილება .....	30
სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები .....	32
პროგრამის ელექტრონული შეფერხება .....	36
საქმეთა განაწილების პროგრამის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.....	41
პრაქტიკაში საქმის განაწილების პროცესი.....	42
რეკომენდაციები .....	47

## **მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა**

<b>და დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობა .....</b>	<b>49</b>
საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის	
სისტემის შეფასება .....	50
მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზანი და გადაცდომის სახეები .....	52
მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება და შეუფერებელი ქმედება .....	53
ეთიკის ნორმებისა და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა	
და კორუფციის შესახებ“ კანონის დარღვევა .....	53
საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება .....	54
დისციპლინური საჩივრები/განცხადებები აქტის კანონიერების საფუძვლით.....	55
მეტი, ვიდრე სამართლებრივი შეცდომა (Legal error plus).....	57
დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური.....	59
ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.....	60
დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილების ფარგლები .....	63
დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის გამჭვირვალობა.....	66

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის სხვა ასპექტები .....	67
კონფიდენციალურობა .....	68
წინასწარი შემონგებისა და გამოკვლევის ვადები.....	70
საბტოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა.....	72
მოსამართლის როლი და უფლებამოსილება დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში.....	76
მტკიცების სტანდარტი.....	77
სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადანყვეტილების მიღება .....	78
რეკომენდაციები .....	78

## შესავალი

წინამდებარე ანგარიში მომზადდა „სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერის (FAIR)“ პროექტის ფარგლებში, რომელსაც, ევროკავშირის მხარდაჭერით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC) პარტნიორ ორგანიზაციებთან, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტსა“ (IDFI) და „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“ (CRRC-საქართველო) ერთად ახორციელებს. დოკუმენტი მიზნად ისახავს, შეაფასოს ე.წ. „მესამე ტალღის“ რეფორმის შედეგად სასამართლო სისტემაში დანერგილი ორი სიახლე: საქმეთა ელექტრონულად განაწილების პროგრამა და დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტის ამოქმედების პირობებში მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ „მესამე ტალღის“ კანონპროექტების პაკეტი მესამე მოსმენით მიღებამდე არაერთხელ შეიცვალა, რამაც საბოლოო ჯამში არსებითად შეცვალა კანონპროექტის თავდაპირველი და საბოლოო ვერსიების შინაარსი. თუმცა, კანონპროექტის ტექსტიდან არაერთი პოზიტიური ცვლილების ამოღების პარალელურად, საბოლოო ვერსიამ გაითვალისწინა რამდენიმე პროგრესული დებულება.

საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის შემუშავება წარმოადგენს „მესამე ტალღის“ ფარგლებში დანერგილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნოვაციას, რომელმაც უნდა უპასუხოს არაერთ გამოწვევას სასამართლოს მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მიმართულებით. საქმეთა ელექტრონული განაწილების ახალი სისტემა, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, ეფუძნება სასამართლოში შესული საქმეების მოსამართლეებს შორის შემთხვევითად განაწილების პრინციპს.

„მესამე ტალღის“ რეფორმის კიდევ ერთი მიმართულებების – მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების დახვეწის მიზნით, კანონპროექტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება გაითვალისწინა. ცვლილებების შედეგად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი და განისაზღვრა მისი უფლებამოსილებები; მოსამართლეს მიენიჭა უფლებამოსილება, მოითხოვოს დისციპლინური სხდომების გასაჭაროება; განისაზღვრა დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის ვადები; იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაეკისრა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და აღნიშნული გადაწყვეტილების ვებგვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება და ა.შ.

მონიტორინგის ანგარიში მიზნად ისახავს ზემოხსენებული ცვლილებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების ანალიზს, ასევე – არსებული გამოწვევების საპასუხოდ წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას.

## მეთოდოლოგია

მონიტორინგის ანგარიში მოიცავს პერიოდს სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ცვლილებების ამოქმედებიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე. ანგარიშზე მუშაობისას პროექტის გუნდმა გამოიყენა კვლევისა და ინფორმაციის მოძიების რამდენიმე მეთოდი და წყარო:

**კანონმდებლობის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების ანალიზი** – მონიტორინგისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდა „მესამე ტალღის“ რეფორმის შედეგად ფორმირებული საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი და, ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის კანონმდებლობით დელეგირებულ საკითხებზე თავად საბჭოს გადაწყვეტილებების შეფასება;

**საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების ანალიზი** – შიდა საკანონმდებლო ნორმატიული ჩარჩოს გარდა, პროექტის გუნდმა შეისწავლა საერთაშორისო გამოცდილება და შეაფასა ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობა რელევანტურ რეკომენდაციებსა და სტანდარტებთან;

**იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომების მონიტორინგი** – იმ პირობებში, როდესაც კანონი არაერთი საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ანიჭებს, მონიტორინგის პერიოდში საბჭოს სხდომებზე რეგულარული დასწრება ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო;

**ინდივიდუალური გასაუბრებები სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან** – პროექტის გუნდი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესსა და საქმის განაწილების ახალი პროგრამის მუშაობასთან დაკავშირებით, წინასწარ შედგენილი კითხვარით ინდივიდუალურად გაესაუბრა სასამართლო სისტემის წარმომადგენლებს. კერძოდ, პროექტის ფარგლებში ინდივიდუალური ინტერვიუები გაიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებსა და კანცელარიის თანამშრომლებთან, თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების კანცელარიის თანამშრომლებთან, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორ-

მაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსთან, უზენაესი სასამართლოს კანცელარიის თანამშრომლებთან, მენეჯმენტის დეპარტამენტისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის აპარატის წარმომადგენლებსა და დამოუკიდებელ ინსპექტორთან;<sup>1</sup>

**სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვა და დამუშავება** – პროექტის გუნდმა ინტენსიურ რეჟიმში რამდენიმე ეტაპად გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოდან, საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან. ასევე, საქმის განაწილების ელექტრონული პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში პროექტის გუნდმა გამოითხოვა ინფორმაცია თითოეული სასამართლოდან;

**მეორადი წყაროების ანალიზი** – მონიტორინგის ფარგლებში ინფორმაციის დამატებით წყაროს წარმოადგენდა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, კვლევები, შეფასებები;

**პრაქტიკაში გამოვლენილი შესაძლო დარღვევების ანალიზი** – პროექტის მიმდინარეობისას გუნდი ასევე აკვირდებოდა პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ საერთო სასამართლოებში წარმოებული საქმეების პრაქტიკაში, ახალი პროგრამის პირობებში, განაწილების პროცესს.

## ძირითადი მიგნებები

საქმეთა განაწილების ახალი პროგრამის მუშაობასა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესზე დაკვირვებამ, საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზმა, სასამართლო სისტემის წარმომადგენლებთან ინდივიდუალურმა გასაუბრებამ, საერთაშორისო რეკომენდაციებისა და სტანდარტების ანალიზმა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების შესწავლამ შემდეგი ძირითადი მიგნებები და გამოწვევები გამოავლინა:

### საქმეთა შემთხვევითი განაწილების ახალი ელექტრონული სისტემა

- საქმეთა განაწილების ახალი წესის დანერგვა მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, თუმცა საკანონმდებლო დონეზე ღიად არის დარჩენილი მთელი რიგი საკითხები, რომელთა მოწესრიგებაც პარლამენტმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაანდო;

<sup>1</sup> პროექტის გუნდი გეგმავდა ინტერვიუს თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებთან, თუმცა მოსამართლეთა გადატვირთულობაზე მითითებით, სასამართლოებმა უარი თქვეს მათთან შეხვედრების ორგანიზებაზე.

- მოსამართლეთა სიმცირე, განსაკუთრებით რეგიონებში, გამორიცხავს შემთხვევითობის პრინციპით საქმეთა განაწილებას ყველა სასამართლოში;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პროგრამის ფუნქციონირების წესის დამტკიცების დღიდან, განსაკუთრებით მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალი სისტემის ამოქმედების შემდგომ, წესში არაერთი ფრაგმენტული და არასისტემური ცვლილება შევიდა. ასევე, გაიზარდა იმ საგამონაკლისო შემთხვევების ჩამონათვალი, რომლებზეც არ ვრცელდება საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპი;
- მოსამართლეთა მორიგეობის წესი, სპეციალიზაციისა და შემთხვევითობის დაუცველად, საქმის კონკრეტული მოსამართლისთვის გადაცემის შესაძლებლობას უშვებს;
- პროგრამის შეფერხებისას მოქმედი მნიშვნელოვანი წესები კანონის ნაცვლად რეგულირდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტით. ხარვეზიანია, პროგრამის შეფერხებისას, კანცელარიის თანამშრომლების მიერ საქმეთა რიგითობის წესით განაწილების პროცესი;
- პრობლემურია სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება – მოსამართლეები საკუთარი შეხედულებისამებრ განაწილოს ვინრო სპეციალიზაციაში;
- სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს აქვს ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვის შესაძლებლობა. სასამართლოს თავმჯდომარე ასევე უფლებამოსილია, გაზარდოს ან შეამციროს მოსამართლეთა დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებელი;
- საქმეთა კოლეგიური განხილვისას, შემთხვევითი განაწილების პრინციპით, ელექტრონული პროგრამის მიერ მხოლოდ ერთი, მომხსენებელი მოსამართლე აირჩევა. ბუნდოვანია კოლეგიური შემადგენლობის ფორმირებისთვის კიდევ ორი მოსამართლის შერჩევის პროცესი;
- სათანადოდ არ არის დარეგულირებული მოსამართლის აცილების/თვითაცილების შემთხვევებში საქმეთა ხელახალი განაწილების პროცედურა და ვადები. ასევე, პრობლემურია სისხლის და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით საქმის ხელახალი განაწილების პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის ჩართულობა;
- დღეს მოქმედი რედაქცია, საქმეთა თანაბრად განაწილების უზრუნველსაყოფად, საქმის წონის სამართლიან და ობიექტურ პრინციპს არ მოიცავს;
- საერთო სასამართლოების სისტემის წარმომადგენლები არ ფლობენ სრულ ინფორმაციას საქმის განაწილების წესში შესული ცვლილებების თაობაზე.

## მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა და დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობა

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოში შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, რითაც შეიზღუდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გადაჭარბებული ექსკლუზიური უფლებამოსილება დისციპლინური სამართალწარმოების საწყის ეტაპზე;
- გაიზარდა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობა. კერძოდ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაევალა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და თავის ვებგვერდზე გამოქვეყნება. აგრეთვე, მოსამართლეს მიეცა უფლება, გაასაჯაროსოს მის მიმართ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების სხდომები (დისციპლინური პასუხისმგებაში მიცემის და სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის სხდომები, გარდა თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებისა);
- განისაზღვრა დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევისთვის ვადები. აღნიშნულ ვადებში საბჭოს მიერ გადაწყვეტილების ვერმიღების/მიუღებლობის შემთხვევაში, დისციპლინური სამართალწარმოება წყდება;
- გაიზარდა მოსამართლის უფლებრივი გარანტიები დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში. კერძოდ, დისციპლინური გამოკვლევისას მოსამართლე უფლებამოსილია, ისარგებლოს დამცველით. იგივე უფლებამოსილება აქვს მას სადისციპლინო კოლეგიის მიერ საქმის განხილვისას;
- დაზუსტდა მტკიცების სტანდარტი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ეტაპზე და დადგინდა სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება ურთიერთმეთავსებად და დამატებულ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე;
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ჩამოერთვა მოსამართლისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის უფლება და მიენიჭა სადისციპლინო კოლეგიას;
- ორგანული კანონი კვლავ არ ითვალისწინებს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზნებს, რაც დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების არამიზნობრივი გამოყენების საფრთხეს ქმნის. აგრეთვე, ორგანული კანონით დადგენილი მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეები კვლავ ზოგადია, იძლევა ფართოდ განმარტების შესაძლებლობას და არ აკმაყოფილებს განჭვრეტადობისა და სიცხადის კრიტერიუმებს, რაც ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკს წარმოშობს;
- ორგანულ კანონში არ არის განსაზღვრული მტკიცებულებათა რელევანტურობისა და დასაშვებობის საკითხი, ასევე – საქმის მსვლელობისთვის დაწესებული სტანდარტი დისციპლინური სამართალწარმოების საწყის ეტაპზე;

- თეორიულად კვლავ შესაძლებელია, სადისციპლინო კოლეგიის ორმა წევრმა მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ;
- ორგანულ კანონში სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი ინსპექტორის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიები. მეტისმეტად ზოგადია ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები. ასევე, მისი თანამდებობაზე არჩევისას და თანამდებობიდან გათავისუფლებისას უზრუნველყოფილი არ არის საბჭოს არამოსამართლე წევრთა რეალური გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;
- კვლავ თვალშისაცემია სხვაობა მოსამართლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შესულ ინფორმაციას, მოსამართლის მიმართ დევნის დაწყებისა და დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის რაოდენობებს შორის. ამასთან, მზარდია შეწყვეტილი დისციპლინური სამართალწარმოებების მაჩვენებელი. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შესული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის 699 ფაქტიდან, 33 საქმეზე დაიწყო დისციპლინური დევნა და მოსამართლე მხოლოდ 4 შემთხვევაში მიეცა დისციპლინურ პასუხისმგებაში;
- დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის ვადების განსაზღვრის მიუხედავად, ინსპექტორის თანამდებობაზე დაგვიანებით დანიშვნის გამო, დღემდე ვადების დარღვევით მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება;
- დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა დისციპლინურ საქმეებზე არ არის ხელმისაწვდომი. ინსპექტორის დასკვნაზე ინფორმაციას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ ვხვდებით ვერც დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილებებში. ინსპექტორის დასკვნის შინაარსი გაურკვეველია, აგრეთვე, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებში;
- „მესამე ტალღის“ ფარგლებში გატარებული ცვლილებების შემდეგ საბჭო მართალია, აქვეყნებს დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებებს თავის ვებგვერდზე, თუმცა გადაწყვეტილებები ხასიათდება არაერთგვაროვნებით, ზოგიერთი გადაწყვეტილება ნაკლებად დასაბუთებულია, რამდენიმე კი – საერთოდ დაუსაბუთებელი;
- დღემდე არც ერთ მოსამართლეს არ უსარგებლია დისციპლინური სხდომის გასაჯაროების უფლებით;
- დღემდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არც ერთ წევრს არ დაუფიქსირებია/გამოუხატავს განსხვავებული აზრი საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში რაოდენობრივად მკვეთრად განსხვავდებოდა საბჭოს წევრთა პოზიციები.

საქმეთა განაწილების ახალი სისტემა სასამართლოში

## კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ჩარჩო

მართლმსაჯულების რეფორმის ე.წ. „მესამე ტალღის“ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონს დაემატა დებულება, რომლითაც დადგინდა რაიონულ (საქალაქო), სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეების ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, განაწილების წესი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2014 წლის მაისში, საპარლამენტო განხილვების დაწყებამდე, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიმართა „ევროპულ კომისიას სამართლის მეშვეობით დემოკრატიისათვის“ (შემდგომში ვენეციის კომისია) და მოითხოვა დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ცვლილებათა კანონპროექტზე.<sup>2</sup>

ვენეციის კომისიამ კანონპროექტის თაობაზე მომზადებულ დასკვნაში მიუთითა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე, რომლის თანახმადაც: „სასამართლოში საქმეთა განაწილება უნდა მიჰყვებოდეს წინასწარ დამკვიდრებულ ობიექტურ კრიტერიუმს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პირის უფლება, მისი საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა მოსამართლემ. ამ გადაწყვეტილებაზე არ შეიძლება, ზეგავლენა მოახდინოს საქმის მხარემ ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც რაიმე ფორმით დაინტერესებულია საქმის შედეგით“.<sup>3</sup> კომისია დასკვნაში ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლოს თავმჯდომარეების უფლებამოსილება, გაანაწილონ საქმეები მოსამართლეთა შორის, დისკრეციის ელემენტებს გულისხმობს, რაც შეიძლება, ბოროტად იქნას გამოყენებული, როგორც მოსამართლეზე ზემოქმედების საშუალება, მაგალითად, მოსამართლის ზედმეტად დატვირთვა დიდი რაოდენობის საქმეებით ან მოსამართლისთვის მხოლოდ მცირე მნიშვნელობის საქმეების მიცემა.<sup>4</sup> ამ პრინციპებზე დაყრდნობით ვენეციის კომისია მიესალმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით საქ-

2 European commission for democracy through law (Venice commission), joint opinion on the draft law on amendments to the organic law on general courts, გვ. 3 [ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2014\)031-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)031-e), წვდომის თარიღი: 03.10.2018]

3 იქვე, ¶ 78.

4 იქვე, ¶ 79-80.

მეთა განაწილების წესის დადგენას.<sup>5</sup> თუმცა საქმეთა ელექტრონული პროგრამის მეშვეობით განაწილების დამდგენი დებულება არასრულყოფილად მიიჩნია და მიუთითა, რომ საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის არსებობისას წესები, რომელთა მიხედვითაც იგი ფუნქციონირებს უნდა იყოს ნათელი და შესაძლებელი იყოს მათი სწორად გამოყენების შემოწმება. ვენეციის კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, კანონის დონეზე, საქმეთა ელექტრონულად განაწილების დეტალური წესებისა და ელექტრონული შეფერხებისას საქმეთა განაწილების პროცესის ტექნიკური მითითებების გაწერა.<sup>6</sup>

სამწუხაროდ, ზემოხსენებული რეკომენდაციები საპარლამენტო განხილვებისას კანონპროექტის ტექსტის დამუშავების არც ერთ ეტაპზე მხედველობაში არ იქნა მიღებული. საბოლოოდ, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა მხოლოდ რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპი:<sup>7</sup>

- (1) სამივე ინსტანციის სასამართლოში საქმეები უნდა განაწილდეს ელექტრონულად, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით;
- (2) ელექტრონული პროგრამის შეფერხებისას საქმეები უნდა განაწილდეს რიგითობის წესით, რაც გულისხმობს საქმეების შემოსვლის რიგითობისა და მოსამართლეთა ანბანური რიგითობის მიხედვით მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილებას;
- (3) საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცება დაევალა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

### იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი რეგულაციები

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, კანონმდებლობით დელეგირებული უფლებამოსილების შესრულების მიზნით, 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილებით,<sup>8</sup> დაამტკიცა საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წესის თავდაპირველ რედაქციაში არაერთი ცვლილება/დამატე-

<sup>5</sup> იქვე, ¶78.

<sup>6</sup> იქვე, ¶80.

<sup>7</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 58<sup>1</sup>.

<sup>8</sup> საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf/%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli/%20gadackvetilebebi/56-2017.pdf>, წვდომის თარიღი: 05.10.2018]

ბა შევიდა, განსაკუთრებით, ელექტრონული სისტემის ქვეყნის სრული მასშტაბით ამოქმედების შემდგომ პერიოდში.<sup>9</sup>

საყურადღებოა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული საქმეთა განაწილების წესი არაერთ ბუნდოვან და პრობლემურ დებულებას შეიცავს.

## საგამონაკლისო შემთხვევები

საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის თავდაპირველი რედაქციით და შემდგომ შესული ცვლილებებით, საბჭომ განსაზღვრა საგამონაკლისო შემთხვევების ფართო ჩამონათვალი, რომლებზეც არ ვრცელდება შემთხვევითი განაწილების პრინციპი. კერძოდ, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით არ ნაწილდება საქმეები, როდესაც:<sup>10</sup>

- შესაბამის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას მხოლოდ ერთი მოსამართლე ახორციელებს;
- რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა;
- რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლე მორიგეობს.

*მოსამართლეთა სათანადო რაოდენობის არარსებობის გამო, საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპით არ ნაწილდება 1 რაიონულ და 13 მაგისტრატ სასამართლოში.*

ამ საგამონაკლისო შემთხვევებზე მითითებით, საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით არ ნაწილდება გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით,<sup>11</sup> აღნიშნულ

9 წესში ცვლილებები შედიოდა, იანვრის და თებერვლის თვის საბჭოს თითქმის ყველა სხდომაზე: 2018 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/1-2018.pdf>, წვდომის თარიღი 06.11.2018]; 2018 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება №1/64, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/64-2018.pdf>, წვდომის თარიღი: 06.11.2018]; 2018 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №1/79 [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/79-2018.pdf> ], წვდომის თარიღი: 06.11.2018]; 2018 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №1/85, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/85-2018.pdf>, წვდომის თარიღი: 06.11.2018]; 2018 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება №1/92, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/92.pdf>, წვდომის თარიღი: 06.11.2018]; 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება №1/144, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/144-2018.pdf>, წვდომის თარიღი: 06.11.2018]

10 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 3.

11 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №1905/2562-03-ო.

სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა. ამასთან, საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით ასევე არ ნაწილდება 13<sup>12</sup> მუნიციპალიტეტში. საბჭოს ინფორმაციით, შესაბამის მუნიციპალიტეტებში მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს მხოლოდ ერთი მოსამართლე.<sup>13</sup>

პროექტის გუნდის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან მიღებული მონაცემების თანახმად, 2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მხოლოდ ზემოხსენებული შემთხვევების გათვალისწინებით, წესის გარეშე განაწილდა ჯამში 22 727 საქმე.<sup>14</sup>

რაც შეეხება კონკრეტული სპეციალიზაციის საქმეებისთვის დადგენილ საგამონაკლისო შემთხვევებს, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეები ნაწილდება განჩინების/გადაწყვეტილების გამოტან მოსამართლეზე, დაახლოებით, 21-მდე შემთხვევაში:<sup>15</sup>

- სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სარჩელის განმეორებით წარდგენისას;
- სარჩელის მიღების შემდეგ იმავე მხარეების მიერ იმავე საგანზე იმავე საფუძვლით სარჩელის განმეორებით წარდგენისას;
- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაზე საჩივრის წარდგენისას;
- სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განმეორებით წარდგენისას;
- სარჩელის აღძვრამდე სარჩელის ან მტკიცებულების უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მიღების შემდეგ სარჩელის წარდგენისას;
- სარჩელის აღძვრამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ დროებითი განჩინების მიღების შემდეგ სარჩელის წარდგენისას;
- პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის შესახებ განცხადების წარდგენისას;
- გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ მოვალის ქონებასთან დაკავშირებით სარჩელის წარდგენისას;
- გადაწყვეტილებაში უსწორობათა ან აშკარა არითმეტიკული შეცდომების გასწორების შესახებ განცხადების წარდგენისას;
- დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ განცხადების წარდგენისას;
- სასამართლოს გადაწყვეტილების განმარტების შესახებ განცხადების წარდგენისას;

12 ქობულეთი, ბაღდათი, ტყიბული, წყალტუბო, დუშეთი, თიანეთი, ყაზბეგი, ახალგორი, ქარელი, ლაგოდეხი, ყვარელი, ნინოწმინდა და ქედა.

13 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №382/308-03-ო.

14 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №56/3724-03-ო.

15 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 3.

- ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
- ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წარდგენისას.
- ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე რამდენიმე საგამოძიებო, საპროცესო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული ან რამდენიმე ბრალდებულის მიმართ წარდგენილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობები ნაწილდება ერთსა და იმავე მოსამართლეზე;
- მიმალვის შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გაუქმების, შეცვლის ან ძალაში დატოვების საკითხს, მისი დაპატიმრების შემთხვევაში, განიხილავს ის მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა განჩინება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ;
- ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის მიმდინარეობისას, შუამდგომლობა და საქმე ბრალდებულის მიმართ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე ნაწილდება პირველი წარდგენის სხდომის წარმართველ მოსამართლეზე;
- ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინების საკასაციო სასამართლოს მიერ გაუქმების შემთხვევაში, საქმე ნაწილდება გასაჩივრებული განჩინების გამომტან მოსამართლეზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და სხვა.

გარდა ამისა, წესი მიუთითებს იმ კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალს, რომელთა განმხილველი მოსამართლე განსაზღვრულია სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით, მაგალითად:

- სასამართლოში წესრიგის დარღვევის საკითხი განიხილება სხდომის/სასამართლოს თავმჯდომარის მიერ;<sup>16</sup>
- დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, საჩივრის მიღების საკითხს წყვეტს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლე;<sup>17</sup>
- მხარის შუამდგომლობით, საქმეში მონაწილე დაზარალებულთა და მონშეთა უმრავლესობის ადგილსამყოფლის მიხედვით ან სხვა მიზეზით, რომელიც და-

16 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 212 და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 85;

17 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 239.


კავშირებულია ნაკლები საპროცესო ხარჯის განწევასთან, ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, სისხლის სამართლის საქმე გადასცეს სხვა სასამართლოს;<sup>18</sup>

- განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარე და სხვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებმა ინდივიდუალური ინტერვიუების მიმდინარეობისას აღნიშნეს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევები გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობიდან და მიესადაგება დღეს არსებულ სასამართლო პრაქტიკას.

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე:** მართლაც, დადებითად ვუყურებ იმ საგამონაკლისო შემთხვევას, რომლის თანახმადაც, სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სარჩელის ხელახლა წარდგენისას საქმე ისევ მე უნდა დამენეროს.


საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით, 2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სამივე ინსტანციის სასამართლოში განაწილდა სულ 254 852 საქმე. ამათგან შემთხვევითი განაწილების წესით განაწილდა მხოლოდ 159 213 საქმე.<sup>19</sup>



18 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 21.


19 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №56/3724-03-ო.

რაც შეეხება თითოეულ სასამართლოში ელექტრონული პროგრამის შედეგად განაწილებულ საქმეებში შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით განაწილებული საქმეების ხვედრით წილს, წინამდებარე ცხრილი ასახავს პროექტის გუნდისთვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გაცემულ სტატისტიკურ ინფორმაციას.<sup>20</sup> აღნიშნული ინფორმაციის სწორად გაანალიზების მიზნით, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ მაგისტრატ სასამართლოში, სადაც ერთი მოსამართლეა, საქმეები, როგორც წესი, პირდაპირ, შემთხვევითობის გარეშე ნაწილდება, თუმცა მაგისტრატი მოსამართლის შვებულების ან სხვა მიზეზით არყოფნისას, შემთხვევითი განაწილების პრინციპის მიხედვით ხდება იმ მოსამართლის არჩევა, რომელიც მაგისტრატი მოსამართლის მოვალეობას ასრულებს. შესაბამისად, მაგისტრატი მოსამართლის არყოფნისას მისი მოვალეობის შემსრულებლისთვის განაწილებული საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით განაწილებულ საქმეთა კატეგორიას მიეკუთვნება.



20 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №1905/2562-03-თ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის გუნდმა 2018 წლის მინორულს კიდევ ერთხელ მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ამ მონაცემების განახლებული სტატისტიკის გამოთხოვის მიზნით, თუმცა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მონაცემები არა თითოეული სასამართლოს, არამედ ინსტანციების მიხედვით წარმოადგინა.

2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რამდენიმე მაგისტრატ სასამართლოში განაწილებული საქმეები



საქმეების კოლეგიური განხილვა

საქმეთა განაწილების წესის თანახმად, განსხვავებული პროცედურა არის განსაზღვრული იმ საქმეთა განაწილებისთვის, რომლებსაც, კანონმდებლობის მიხედვით, მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობა განიხილავს.

პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმის კოლეგიურად განხილვისას სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას. მიუხედავად იმისა, რომ წესის თანახმად უზრუნველყოფილია კოლეგიაში საქმის განხილველი იმ თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობა, რომელმაც ამ საქმის ერთპიროვნულად განხილვისას დაადგინა მისი კოლეგიური შემადგენლობისთვის გადაცემის სატიროება, პრობლემურია სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მოსამართლეთა კოლეგიური შემადგენლობის ფორმირების საკითხი.<sup>21</sup> აღნიშნული ჩანაწერი 2017 წლის 24 ივლისს გატარებული ცვლილებების ერთ-ერთი შედეგია. თავდაპირველი რედაქციით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმის კოლეგიურად განხილვისას ელექტრონულ სისტემას უნდა უზრუნველყო საჭირო რაოდენობის მოსამართლეთა შერჩევა.<sup>22</sup> თავდაპირველი ჩანაწერის ცვლილების საფუძველს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის დებულება იძლევა, რომლის მიხედვითაც, მოტივირებული განჩინება საქმის სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით განხილვის შესახებ გადაეცემა სასა-

21 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/243, მუხლი 1.

22 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4.

მართლოს თავმჯდომარეს, რომელიც განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას ამ საქმის განხილველი თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით.<sup>23</sup> იმ პირობებში, როდესაც საქმეთა განაწილების ახალი სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს საქმეთა ელექტრონულად, შემთხვევითი განაწილების პრინციპით განაწილება წარმოადგენს, უმჯობესია, ახალი სისტემის დანერგვამდე არსებული საკანონმდებლო ჩარჩო მოვიდეს შესაბამისობაში ახალი პროგრამით დადგენილ პრინციპებთან, რათა მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი ახალი პროგრამით დანერგილი პოზიტიური ცვლილებების ეფექტიანობა.

არაერთხელ შეიცვალა სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმის განაწილების წესი. თავდაპირველი რედაქციით, კოლეგიურად განსახილველი საქმე უნდა განაწილებულიყო სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე, ხოლო ელექტრონულ სისტემას დამატებით უნდა უზრუნველყო შესაბამისი კოლეგიის/პალატის შემადგენლობიდან საჭირო რაოდენობის მოსამართლეთა შერჩევა.<sup>24</sup> 2017 წლის 24 ივლისის ცვლილებებით, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმე კოლეგიურად განხილვისას საქმე ნაწილდებოდა სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე და ამ მოსამართლის შესაბამის კოლეგიაზე.<sup>25</sup> 2017 დეკემბერს კიდევ ერთხელ შეიცვალა ეს დანაწესი და დღეს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში განხილვისას საქმე ნაწილდება სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე.<sup>26</sup> იმის გათვალისწინებით, რომ დამატებითი მითითება არ კეთდება კოლეგიის სხვა წევრების შერჩევის წესზე, გაუგებარია, თავმჯდომარე/მომხსენებელი მოსამართლე წინასწარ დადგენილი კოლეგიური შემადგენლობით განიხილავს მისთვის დაწერილ საქმეს, თუ შესაძლებელია ახალი კოლეგიური შემადგენლობის ფორმირება თავმჯდომარე/მომხსენებელი მოსამართლის მონაწილეობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიის თანამშრომლებმა ინდივიდუალური ინტერვიუების მიმდინარეობისას ისაუბრეს ე.წ. მყარი შემადგენლობების არსებობის თაობაზე და მიუთითეს, რომ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, განსაზღვრულია კოლეგიათა შემადგენლობები და თითოეულ კოლეგიაში მოსამართლეთა ცვლილება იშვიათად ხდება.

აღნიშნული საკითხის დაზუსტების მიზნით, პროექტის გუნდმა გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებიდან და საქარ-

23 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 26.

24 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4.

25 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, №1/243, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/243-2017.pdf>, წვდომის თარიღი: 14.10.2018]

26 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, №1/326 [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/326..pdf>, წვდომის თარიღი: 01.10.2018]

თველოს უზენაესი სასამართლოდან: (1) თბილისის სააპელაციო სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, ასევე სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, სისხლის სამართლის, სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების კონკრეტული ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, მათი დატვირთულობისა და დანიშნული/დასანიშნნი პროცესების გრძელვადიანი განრიგის გათვალისწინებით, ქმნიან კოლეგიებს, რომლებიც, როგორც წესი, ხასიათდებიან ერთგვარი სტაბილურობით.<sup>27</sup> (2) სააპელაციო სასამართლოში საქმის განსახილველად მოსამართლეთა კოლეგიების შექმნის თაობაზე რაიმე სამართლებრივი აქტის არარსებობაზე მიუთითებს ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლო.<sup>28</sup> (3) უზენაესი სასამართლოს ინფორმაციით, სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პალატების შემადგენლობებს, წინასწარ განსაზღვრული არ არის.<sup>29</sup>

ამ ინფორმაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფიქსირებული, წინასწარ განსაზღვრული კოლეგიური შემადგენლობები სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში არ არსებობს. შესაბამისად, სამართლებრივი რეგულირების მიღმა რჩება სამმოსამართლიანი კოლეგიიდან დანარჩენი ორი მოსამართლის შერჩევის საკითხი. ამ პირობებში კი მაღალია რისკი იმისა, რომ ხელოვნური ჩარევით დაკომპლექტდეს საქმის განმხილველი კოლეგიის შემადგენლობა.

რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ საქმეთა განხილვას, ამ შემთხვევაში ელექტრონული სისტემა, საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლეებისა და სხდომის თავმჯდომარის/მომხსენებელი მოსამართლის გათვალისწინებით, დამატებით უზრუნველყოფს დიდი პალატის შემადგენლობიდან საჭირო რაოდენობის მოსამართლეების შერჩევას.<sup>30</sup>

## საქმეთა თანაბარი განაწილების უზრუნველყოფა

ე.წ. „მესამე ტალღის“ ცვლილებებით, საკანონმდებლო დონეზე არ განისაზღვრა მოსამართლეთა შორის საქმეთა თანაბარი განაწილების პრინციპი, თუმცა საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად, ელექტრონულმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს მოსამართლეთათვის საქმეთა შეძლებისდაგვარად თანაბრად განაწილება, მაგრამ მხედ-

27 თბილისის სააპელაციო სასამართლოს წერილი, №01/284(ა).

28 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წერილი №375-2/10.

29 საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი №პ-527-18.

30 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4.

ველობაში მიიღება მხოლოდ საქმეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი. სისტემა აფიქსირებს განაწილებულ საქმეთა საშუალო მაჩვენებელს, თითოეულ მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობას, შემთხვევითი შერჩევის შედეგად გენერირებულ რიცხვს და ახდენს ყველა ამ მონაცემის ასახვას ელექტრონულ პროგრამაში. შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთა რაოდენობას შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს სამს.<sup>31</sup> იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის სხვაობა გაუტოლდება სამს, ის მოსამართლე, რომელზეც ყველაზე მეტი საქმეა განაწილებული, გამოეთიშება საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესს მოსამართლეთა შორის განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის სხვაობის შემცირებამდე.<sup>32</sup>

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებთან საქმეთა თანაბარ განაწილებაზე საუბრისას ყურადღება გამახვილდა სასამართლოში შესული საქმეების რაოდენობის მკვეთრ ზრდაზე, თუმცა იქვე აღინიშნა, რომ ეს ფაქტი საქმეთა განაწილების პროგრამასთან კავშირში არ არის. სამოქალაქო საქმეების განმხილველი მოსამართლის მოსაზრებით, დადებითი შედეგების მომტანი იქნებოდა ცვლილება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ახალგამწესებული მოსამართლეებისთვის მოქმედი მოსამართლის ნაშთად არსებული საქმეებიდან გარკვეული ნაწილის გადაწერას. მოსამართლეებმა ასევე აღნიშნეს, რომ ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება პროგრამის მიერ ერთი მოსამართლის „ამოჩემების“, თუმცა მათი გადმოსახედიდან, საბოლოო ჯამში, საქმეები თანაბრად ნაწილდება.

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე:** „შევამჩნიეთ, რომ პროგრამამ ამოჩემება იცის. შეიძლება, რამდენიმე საქმე დაგანეროს ზედიზედ, თუმცა რაოდენობრივად თანაბრად ნაწილდება“.

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე:** „პროგრამის მიზანი არ არის ზუსტად არითმეტიკული სიზუსტით საქმეთა განაწილება, თუმცა, რომ ვთქვათ, ერთი მოსამართლე შესამჩნევად დაჩაგრულია ან რომელიმე მათგანს უპირატესი მდგომარეობა უკავია, არა.“

უზენაესი სასამართლოს ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელმა, პროექტის გუნდთან საუბრისას, განმარტა, რომ მოსამართლეებს შორის საქმეთა თანაბარი განაწილების უზრუნველსაყოფად პროგრამა წამიერად ამუშავებს არსებულ ინფორმაციას

31 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 5.

32 იქვე.

და იმის მიხედვით ანაწილებს გასანაწილებელ საქმეს შესაბამის მოსამართლეზე. შესაძლებელია, რამდენიმე საქმე ზედიზედ ერთსა და იმავე მოსამართლეს დაენეროს, თუმცა პროგრამა ყოველი განაწილებისას იცავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით დადგენილ პრინციპს – განაწილებულ საქმეთა რაოდენობას შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს სამს.

მოსამართლეთა განმარტებით, სასამართლოს მიმართ ნდობის ამალღებასთან ერთად, ელექტრონული წესით საქმეთა განაწილება ემსახურება ასევე მოსამართლეთა შორის საქმეთა თანაბრად განაწილების პრინციპის დაცვას, თუმცა მოსამართლეები მიუთითებენ, რომ პირადად მათ სამოსამართლო საქმიანობაში პროგრამის დანერგვას არანაირი ცვლილება არ გამოუწვევია, რაც, მათივე განმარტებით, გადატვირთულობას და ბოლო პერიოდში საქმეთა ნაკადის მკვეთრ ზრდას შეიძლება უკავშირდებოდეს.

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე:** „ელექტრონულად შემთხვევითი განაწილების სისტემის ერთადერთი მიზანი სამოგადოების ნდობის გაზრდაა“.

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე:** „ამ პროგრამის ამოქმედების მთავარი მიზანია ის, რომ განაწილება იყოს ობიექტური და საქმის განხილველ მოსამართლეთა შორის იყოს თანაბარი დატვირთულობა“.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული საქმეთა განაწილების წესი, მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობის უზრუნველსაყოფად, მხოლოდ საქმეთა რაოდენობრივ მაჩვენებელს აფუძნებს. პრობლემურია, რომ წესი არ ითვალისწინებს საქმის წონის<sup>33</sup> დადგენის სამართლიან და ობიექტურ პრინციპს.

მოსამართლეთა დატვირთულობის საკითხთან კავშირშია, ასევე, 2017 წლის 18 დეკემბრის ცვლილებების ის ნაწილი, რომლითაც შემცირდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის, სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილის, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის (სადაც მოსამართლეთა რაოდენობა აღემატება 7-ს), უზენაესი, სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის საქმეთა განაწილების პროცენტული მაჩვენებელი.<sup>34</sup> თუმცა, როგორც უზენაესი სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ

33 მეთოდოლოგია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების ეროვნული ცენტრი იყენებს მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის გამოსაანგარიშებლად, არის სამოსამართლო დროის საშუალო ოდენობის გამოთვლა საქმეთა ტიპების მიხედვით. იმის გამო, რომ საქმეები განსხვავდება სირთულის მიხედვით, საქმის განხილვისთვის საჭირო საშუალო დრო, რასაც საქმის წონა ეწოდება, ასევე განსხვავებულია.

34 იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/326..pdf>, წვდომის თარიღი: 30.01.2019]

2018 წლის 12 თებერვალს საბჭოს სხდომაზე განმარტა, მიუხედავად წესით განსაზღვრული დატვირთულობის შეღავათიანი პროცენტული მაჩვენებლისა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები (მათ შორის, თავმჯდომარე) 50 და 100 პროცენტიანი დატვირთვით განიხილავენ საქმეებს. 26 თებერვალს კიდევ ერთხელ შეიცვალა აღნიშნული დანაწესი და ამ ჩამონათვალიდან, საბჭოს გადაწყვეტილებით, ამოიღეს სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილისთვის განსაზღვრული საქმეთა განაწილების შეღავათიანი პროცენტული მაჩვენებელი. მაშინ, როდესაც სასამართლო სისტემის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას მოსამართლეთა დატვირთულობა და საქმეთა ნაკადის ზრდა წარმოადგენს, გაუგებარია, თუ რამ განაპირობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გარკვეულ პირთა წრისათვის დატვირთულობის შეღავათიანი მაჩვენებლების განსაზღვრა.

დღეს მოქმედი რედაქციით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით დადგენილია შემდეგი საგამონაკლისო დატვირთულობის მაჩვენებლები:

- (1) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი – 20%, ხოლო თუ წევრი ამავდროულად არის სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგის/პალატის თავმჯდომარე – 10%;<sup>35</sup>
- (2) იმ სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგის/პალატის თავმჯდომარე, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა არ აღემატება 7-ს – 50%, ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგის/პალატის თავმჯდომარე, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა აღემატება 7-ს – 20%;<sup>36</sup>
- (3) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეზე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეზე, გარდა კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული განსჯადი საქმეებისა, ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესა და მდივანზე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია, განაწილდეს საქმეები, როგორც წესი, არაუმეტეს 5%-ისა.<sup>37</sup>

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევები, რიგ შემთხვევაში, აძლევს შესაძლებლობას იმ მოსამართლეს, რომელიც ამავდროულად ადმინისტრაციულ თანამდებობას იკავებს, ისარგებლოს, სხვა მოსამართლეებთან შედარებით დატვირთულობის ნაკლები პროცენტული მაჩვენებლით. წინამდებარე ცხრილი ასახავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებისა და სხვადასხვა სასამართლოს თავმჯდომარისა და კოლე-

35 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 5.

36 იქვე.

37 იქვე.

გია/პალატის თავმჯდომარეების დატვირთულობის პროცენტულ მაჩვენებელს.<sup>38</sup> სა-  
ყურადღებოა, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არაერთგზის მიმართვის<sup>39</sup> შემდეგ  
გაცა ინფორმაცია<sup>40</sup> თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯ-  
დომარეების დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებლის შესახებ.

სახელი, გვარი	ადმინისტრაციული თანამდებობა	დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებელი
<b>მზია თოდუა</b>	უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	50%
<b>მიხეილ ჩინჩალაძე</b>	თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე	0%
<b>ლევან თევზაძე</b>	თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე	20%
<b>თამარ ონიანი</b>	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	20%
<b>რევაზ ნადარაია</b>	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	20%
<b>მერაბ გაბინაშვილი</b>	თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	20%
<b>ირაკლი ბონდარენკო</b>	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	20%
<b>ირაკლი შენგელია</b>	თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	100%
<b>დიმიტრი გვრიტიშვილი</b>	ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	5%
<b>ვასილ მშვენიერაძე</b>	თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	0%
<b>გიორგი მიჭაუტაძე</b>	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი	0%
<b>სერგო მეთოფიშვილი</b>	თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი	10%
<b>დავით მამისიეშვილი</b>	ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე	20%
<b>ლერი თედორაძე</b>	ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე	100%
<b>ლევან მუშველიანი</b>	სამტრედიის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე	50%
<b>შოთა ნიკურაძე</b>	ზესტაფონის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე	100%
<b>გია ბერაია</b>	ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	50%
<b>დავით ნარიშანიშვილი</b>	გურჯაანის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი	100%
<b>არარატ ესოიანი</b>	ახალქალაქის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე	75%

38 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №1905/2562-03-თ.

39 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილები: №1905/2562-03-თ, №2165/2980-03-თ, №2166/2979-03-თ არ შეიცავს ინფორმაციას მიხეილ ჩინჩალაძისა და დიმიტრი გვრიტიშვილის დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებლის თაობაზე.

40 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №52/3723-03-თ.

მოქმედი წესის თანახმად, მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების (მათ შორის, სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლინების, აღნიშნული მივლინების ვადის დასრულების, ასევე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნების) შემთხვევაში, განისაზღვრება შესაბამის კოლეგიაში/პალატაში/ვინრო სპეციალიზაციაში (გარდა საგამოძიებო კოლეგიისა) წარმოებაში არსებულ საქმეთა საშუალო რაოდენობა,<sup>41</sup> მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით და თანამდებობაზე გამწესებული მოსამართლისათვის აღნიშნულ რაოდენობამდე საქმეთა შესავსებად, საქმეთა განაწილების მაჩვენებელი, 2018 წლის 8 ოქტომბრის ცვლილების საფუძველზე, იზრდება 300 პროცენტით. ამ დებულებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საქმეთა რაოდენობის გათანაბრების მიზნით ახალდანიშნულ მოსამართლეს, სხვა მოსამართლეებთან შედარებით, სამჭერ უფრო მეტი საქმე ეწერება.

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ არაერთხელ განიხილა აღნიშნული დებულების ცვლილების საკითხი. საბჭოს მოსამართლე წევრების მიერ თავდაპირველად შემოთავაზებული იყო (ელ. პროგრამის ამოქმედებამდე) უკვე წარმოებაში არსებული საქმეების განაწილება ახალდანიშნული მოსამართლეებისათვის. ასევე, 2018 წლის 19 თებერვლის სხდომაზე განიხილებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს წინადადება, არსებული საქმეების საშუალო რაოდენობიდან გამომდინარე, სასამართლოს თავმჯდომარეს (ან შესაბამის უფლებამოსილ პირს) მინიჭებოდა უფლებამოსილება ახალდანიშნულ მოსამართლეთათვის დატვირთულობის 50-პროცენტიანი ბიჭებით გაზრდის თაობაზე. 2018 წლის 8 ოქტომბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრმა, სერგო მეთოფიშვილმა, ხელახლა გამოიტანა ეს საკითხი განსახილველად. ის საბჭოს წევრებს სთავაზობდა იმგვარი წესის შემუშავებას, რომლის მიხედვითაც, საქმეთა განაწილების ელექტრონულ პროგრამას უნდა გაენაწილებინა მოქმედი მოსამართლეების ნაშთად დარჩენილი საქმეები, რომლებზეც არსებითი განხილვა დაწყებული არ არის შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით ახალ გამწესებულ მოსამართლეებზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უმრავლესობამ ამ ინიციატივას მხარი არ დაუჭირა.

## მოსამართლისათვის საქმეების განაწილების შეჩერების/საქმის სხვა მოსამართლისთვის დროებით გადაცემის შემთხვევები

არაერთი ცვლილება შევიდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის იმ დებულებაში, რომელიც განსაზღვრავს მოსამართლისათვის საქმეების

41 იგულისხმება მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემით განაწილებულ საქმეთაგან წარმოებაში არსებულ საქმეთა საშუალო რაოდენობა.

დანერის შეჩერების შემთხვევებს. თავდაპირველი რედაქციის მიხედვით, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებისას (შვებულება, სამსახურებრივი მივლინება, დროებითი შრომისუუნარობა, ორსულობა, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება) მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 3 დღეს და გასანაწილებელი საქმეების განხილვის ვადა აღემატებოდა 72 საათს. ამ დანაწესს დაემატა საკმაოდ ბუნდოვანი ფორმულირება, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეზე საქმეები არ ნაწილდება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს განსაკუთრებული ობიექტური გარემოება და საქმეების განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს.<sup>42</sup> თუ რა იგულისხმება განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებაში, ამას წესი არ განმარტავს. 2018 წლის 26 თებერვალს კიდევ ერთი ცვლილება შევიდა აღნიშნულ დებულებაში, რის საფუძველზეც 3 დღე 5 დღით ჩანაცვლდა.

განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებაზე მითითება დაემატა კიდევ ერთ დებულებას, რომლის თანახმადაც, ამგვარი გარემოების არსებობისას მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეზე საპროცესო მოქმედების განსახორციელებლად თუ ირღვევა ამ მოქმედების შესასრულებლად საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადა ან შუამდგომლობის განსახილველად, თუ შუამდგომლობის განუხილველობამ შეიძლება, ზიანი მიაყენოს მხარის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, საქმე დროებით გადაეცემა სხვა მოსამართლეს.<sup>43</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, სხვა მოსამართლე შეირჩევა საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის საშუალებით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, თუმცა წესი არ განსაზღვრავს, ვინ უნდა დაადგინოს განსაკუთრებული ობიექტური გარემოებისა და ამ დებულებით განსაზღვრული სხვა წინაპირობების არსებობა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოდან მიღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად,<sup>44</sup> ამ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული სტანდარტები, რომელთა არსებობასაც აფასებს თვითონ საქმის განმხილველი მოსამართლე. რაც შეეხება პროცედურულ საკითხებს, რუსთავის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ თუ მოსამართლე იმყოფება შვებულებაში, სამსახურებრივ მივლინებაში, დროებითი შრომისუუნარობის მდგომარეობაში ან დაუდგა

42 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, №1/1, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/1-2018.pdf>, წვდომის თარიღი: 10.10.2018]

43 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, №1/64, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/64-2018.pdf>, წვდომის თარიღი: 02.10.2018]

44 რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 ივლისის წერილი, №396/გ.

განსაკუთრებული ობიექტური გარემოება და მის წარმოებაში არსებულ საქმეზე ირღვევა საპროცესო მოქმედებისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა ან თუ შუამდგომლობის განუხილველობამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს მხარის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, კონკრეტული მოსამართლე ან მასთან მიმაგრებული აპარატის თანამშრომელი მოსამართლესთან შეთანხმებით წერილობით მიმართავს სასამართლოს კანცელარიას, საქმის სხვა მოსამართლეზე გადაცემის მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმეზე გრძელდება სამართალწარმოება და აღმოიფხვრა საქმის დროებით გადაცემის მიზეზი, საქმე უბრუნდება ძირითად განმხილველ მოსამართლეს. იდენტურ პროცედურაზე მიუთითებენ სხვა სასამართლოებიც.

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს კანცელარია:** მოსამართლის შვებულებაში ყოფნის პერიოდში შემოსული კორესპონდენციის ნახვისას თუ აღმოვაჩენდი, რომ მხარე მოითხოვდა საქმესთან დაკავშირებით, მაგალითად, საჭარო პუბლიკაციას, აუცილებლად ვუკავშირდებოდი ამ მხარეს და ვაზუსტებდი, ჰქონდათ თუ არა ინტერესი, განცხადება განსახილველად გადასცემოდა დროებით სხვა მოსამართლეს. დადებითი პასუხის შემთხვევაში კი, აუცილებლად ვთხოვდით, წარმოედგინათ მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა განცხადების დაუყოვნებლივ განუხილველობით მიყენებულ შესაძლო ზიანს.

## აცილების/თვითაცილების შემთხვევაში საქმეთა ხელახალი განაწილება

საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესით ბუნდოვნად არის დარეგულირებული მოსამართლის აცილების/თვითაცილების შემთხვევაში საქმის ხელახალი განაწილების პროცედურა. წესის თანახმად, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოსამართლის აცილების/თვითაცილების, ასევე ობიექტური მიზეზით მის მიერ საქმის განხილვის შეუძლებლობისას, საქმე ნაწილდება აღნიშნული მოსამართლის მონაწილეობის გარეშე, თუმცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტით განსაზღვრული არ არის დეტალური პროცედურები იმის თაობაზე, თუ ვინ აბრუნებს აცილების შემთხვევაში საქმეს სასამართლოს კანცელარიაში, ვინ იღებს და რა ვადაში გადაწყვეტილებას საქმის ხელახალი განაწილების თაობაზე, წესი ამ შემთხვევაში მხოლოდ საქმის განაწილების ზოგადი წესის დამდგენ მუხლზე მიუთითებს.<sup>45</sup>

რაც შეეხება საპროცესო კანონმდებლობას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-65-ე მუხლები ადგენს მოსამართლის/კოლეგიური შემადგენლობის თვი-

45 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 4.

თაცილებისა და აცილების შემთხვევაში, საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემის ან საქმის განმხილველი სასამართლოს ახალი შემადგენლობის განსაზღვრის პროცედურებს. ამ დებულებებიდან განსაკუთრებით საყურადღებო და პრობლემურია: (1) მოსამართლის მიერ თვითაცილების თაობაზე განცხადებით მიმართვა სასამართლოს თავმჯდომარესთან;<sup>46</sup> (2) საქმის განმხილველი სასამართლოს აცილების შემთხვევაში საქმის გადაცემა სასამართლოს თავმჯდომარისათვის, რომელიც საქმეს განსახილველად გადასცემს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.<sup>47</sup>

აცილების/თვითაცილების შედეგად საქმის სხვა მოსამართლისათვის/კოლეგიური შემადგენლობისთვის გადაცემის პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობას ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც. კერძოდ: (1) აცილების მიღების ან თვითაცილების შემთხვევაში მოსამართლე საქმეს გადასცემს სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას განსახილველად გადასცემს სხვა მოსამართლეს. თუ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არ არის სამოქალაქო საქმის განმხილველი სხვა მოსამართლე, მაშინ სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს უგზავნის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, სხვა რაიონული (საქალაქო) სასამართლოსათვის გადასაცემად;<sup>48</sup> (2) კოლეგიური სასამართლოს მთელი შემადგენლობის ან მისი უმრავლესობის აცილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა იმავე სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმეს განსახილველად გადასცემს კოლეგიური სასამართლოს სხვა შემადგენლობას;<sup>49</sup> (3) საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატის ან სააპელაციო სასამართლოს პალატის მთელი შემადგენლობის აცილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც მას კანონით დადგენილი წესით განსახილველად გადასცემს სხვა შემადგენლობას.<sup>50</sup>

პრაქტიკაში, იმის გათვალისწინებით, რომ საქმის კოლეგიური განხილვისას საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამა საქმეს ანაწილებს მხოლოდ მომხსენებელ მოსამართლეზე და არ შეირჩევა დანარჩენი ორი მოსამართლე, კოლეგიური შემადგენლობის მხოლოდ მომხსენებელი მოსამართლის აცილებისას/თვითაცილებისას, როგორც წესი, დგება საქმის ხელახალი განაწილების საჭიროება. EMC-ის მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში აღინიშნა საყურადღებო გარემოება, კერძოდ, როდესაც კოლეგიური შემადგენლობის მომხსენებელი მოსამართლის გარდა სხვა მოსამართლესაც აცილდება, პროგრამა ვერ აფიქსირებს მომხსენებელი მოსამართ-

46 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 62.

47 იქვე, მუხლი 65.

48 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 34.

49 იქვე.

50 იქვე.

ლის მიღმა სხვა მოსამართლის აცილების შემთხვევას და საქმის ხელახალი განაწილებისას საქმე შეიძლება იმ მოსამართლეს დაენეროს პროგრამით, რომელიც უკვე აცილებულია ამ საქმის განხილვისაგან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიის თანამშრომლების განმარტებით, აცილებული საქმე ნებისმიერ შემთხვევაში გადაეცემა თავმჯდომარეს, თუმცა, მათი მოსაზრებით, თავმჯდომარის როლი ამ პროცესში მხოლოდ ფორმალურია – თავმჯდომარე საქმეს უგზავნის კანცელარიას, საიდანაც საქმე ხელახლა ნაწილდება კვლავ ელექტრონული პროგრამის საშუალებით.

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარია:** „ამ დროს მოსამართლის თანაშემწეს აცილებული საქმე ჩააქვს თავმჯდომარესთან, შემდეგ საქმე ეგზავნება კანცელარიას და განაწილება ხდება იმავე პრინციპით, როგორც თავდაპირველად მოხდა, ელექტრონული პროგრამის გამოყენებით.“

როგორც უკვე აღინიშნა, არც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესი და არც საპროცესო კანონმდებლობა არ ადგენს აცილების/თვითაცილების შემთხვევაში საქმის ხელახალი განაწილებისთვის კონკრეტულ ვადებს. მაგალითისთვის, EMC-ის მიერ წარმოებულ ერთ-ერთ საქმეში კოლეგიური შემადგენლობის მომხსენებელი მოსამართლის აცილების შემდგომ, საქმის განაწილების დოკუმენტის ასლის თანახმად, საქმე ხელახლა განაწილდა აცილების შუამდგომლობის დაყენებიდან 29-ე დღეს.

## სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად, სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე ხედავს მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების რაოდენობას.<sup>51</sup> ამასთან, 2018 წლის 8 იანვარს, საბჭოს გადაწყვეტილებით მიღებულ ცვლილებებამდე, ელექტრონული სისტემის შეფერხებისას რეგიონების წესით საქმეებს სასამართლოს თავმჯდომარე ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე ანაწილებდა.<sup>52</sup>

2018 წლის 8 იანვარს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა სამოქალაქო სექტორის კრიტიკის პასუხად წამოაყენა ინიციატივა, ელექტ-

51 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 6.

52 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, №1/1, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/1-2018.pdf>, წვდომის თარიღი: 24.10.2018]

რონული სისტემის შეფერხებისას საქმეთა რიგითობის წესით განაწილების უფლებამოსილების კანცელარიის თანამშრომლისთვის გადაცემის თაობაზე. ერთი მხრივ, პოზიტიურად უნდა შეფასდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქმეთა განაწილების პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შემცირების მცდელობა, თუმცა მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ რიგითობის წესით საქმეთა განაწილება კვლავაც ხარვეზიანია, რადგან ვერ უზრუნველყოფს პროცესის მანიპულირებისა და ხელოვნური ჩარევისაგან ეფექტიან დაცვას, რაც მნიშვნელოვნად არღვევს მიუკერძოებელი სასამართლოს გარანტიას. ამ ხარვეზიან პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის ავტომატური ჩანაცვლება კანცელარიის თანამშრომლით ვერ აზღვევს და შეიძლება ითქვას, რომ კიდევ უფრო ზრდის საქმეთა რიგითობის წესით განაწილების პროცესით მანიპულირების, შიდა და გარე ჩარევების რისკს.

8 იანვარს გატარებული ცვლილებების მიუხედავად, სასამართლოს თავმჯდომარეს კვლავაც რჩება რამდენიმე პრობლემური და ბუნდოვანი უფლებამოსილება:

- მოსამართლეებისათვის განაწილებული საქმეების რაოდენობის ხედვის უფლება;<sup>53</sup>
- მოსამართლეთათვის დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებლის გაზრდის ანდა შემცირების უფლებამოსილება;<sup>54</sup>
- ვინრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა დაუსაბუთებელი გადაადგილების შესაძლებლობა;<sup>55</sup>
- მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის განსაზღვრა.<sup>56</sup>

საყურადღებოა, რომ შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად უფლებამოსილია, წესის თანახმად განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებელი 25%-იანი ბიჭით გაუზარდოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს და სხვ. ასევე, თავმჯდომარე უფლებამოსილია, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, მოსამართლის ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გათვალისწინებით, შეამციროს მოსამართლეზე საქმეთა განაწილების პროცენტული მაჩვენებელი, არაუმეტეს 50%-იანი ბიჭით.

53 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, №1/56, მუხლი 6. [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/56.pdf>, წვდომის თარიღი: 09.10.2018]

54 იქვე, მუხლი 5.

55 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, №1/175, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/175-2018.pdf>, წვდომის თარიღი: 10.10.2018]

56 იქვე, მუხლი 4.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის ცალკეულ საქმეებზე, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს, სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დგინდება მორიგეობა და არასამუშაო და სამუშაო საათებში აღნიშნული საქმეები ნაწილდება მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის მიხედვით. მოსამართლეთა მორიგეობა ძირითადად დადგენილია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოებში, სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის დაუყონებლივ განსახილველ საქმეთა კატეგორიაზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლოს მენეჯმენტის დეპარტამენტის განმარტებით, სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული ერთი თვის გრაფიკი დეპარტამენტს ელექტრონულ პროგრამაში მონაცემების შეყვანის მიზნით მიწოდდება. კითხვაზე, თუ რამდენად ხშირია უკვე დადგენილ გრაფიკში ცვლილებები, დეპარტამენტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასეთი შემთხვევები პრაქტიკაში დაფიქსირებულა და ამ დროს რამდენიმე დღით ადრე ხდება დეპარტამენტის ინფორმირება მორიგეობის გრაფიკში ცვლილების შეტანის მიზნით.

**სასამართლოს მენეჯმენტის დეპარტამენტი:** „მორიგეობის გრაფიკში ყოფილა ცვლილების შეტანის შემთხვევა. შესაძლებელია, გარკვეული მიზეზით ვერ ახერხებს კონკრეტული პირი მორიგეობას და ასეთ შემთხვევებში ხდება ცვლილება. რამდენიმე დღით ადრე მაინც უნდა იყოს ინფორმაცია ამის თაობაზე“.

საქმის განაწილების ახალ მოდელში, განსაკუთრებით საყურადღებო და პრობლემურია თავმჯდომარის უფლებამოსილება, ვინრო სპეციალიზაციებში (თემატური/საპროცესო ეტაპების მიხედვით შექმნილ ჯგუფებში) განსაზღვროს მოსამართლეთა შემადგენლობა. მიუხედავად იმისა, რომ ვინრო თემატური/საპროცესო სპეციალიზაციის შექმნა საბჭოს მიერ არის დადგენილი, თავად ვინრო სპეციალიზაციების მიხედვით, მოსამართლეთა შემადგენლობა სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით ერთპიროვნულად განისაზღვრება,<sup>57</sup> რაც საქმეთა განაწილების პროცესზე მისი გავლენის რეალურ რისკს წარმოშობს. პროგრამა საქმეს ანაწილებს ვინრო სპეციალიზაციის მოსამართლეებს შორის, თუმცა, ვინ იქნება კონკრეტულ სპეციალიზაციაში, მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარის გადასაწყვეტია. ამ პრობლემას ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ ვინრო ჯგუფებში მოსამართლეთა განაწილების ფორმალურ პროცედურას და ეტაპებს კანონი არ იცნობს. შესაბამისად, თავმჯდომარის ეს უფლებამოსილება რჩება საქმის განაწილების ახალი წესის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.

57 მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 8 აპრილის ბრძანება.

დღეს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაცია დადგენილია თბილისის საქალაქო<sup>58</sup> და სააპელაციო სასამართლოებში.<sup>59</sup> ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრა განსაკუთრებით პრობლემურია სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, სადაც, როგორც წესი, საქმეები სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგიური შემადგენლობით განიხილება. საქმეთა ელექტრონულად, შემთხვევითობის პრინციპით განაწილების წესის დღეს მოქმედი რედაქციით, სააპელაციო სასამართლოში საქმის განაწილებისას ელექტრონული პროგრამა კოლეგიური შემადგენლობიდან მხოლოდ ერთს, მომხსენებელ მოსამართლეს ირჩევს. შესაბამისად, მაღალია რისკი იმისა, რომ ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა მარტივი, დაუსაბუთებელი გადაადგილების პირობებში კოლეგიის შემადგენლობის ფორმირებაშიც მოხდეს ჩარევა.

სასამართლოს თავმჯდომარის ზემოხსენებული უფლებამოსილების კრიტიკის საპასუხოდ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით,<sup>60</sup> ცვლილება შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოში ვიწრო სპეციალიზაციის დამდგენ გადაწყვეტილებაში. ცვლილების თანახმად, აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით შერჩეულმა სისხლის სამართლის საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ შესაძლებელია, იმავე პალატის სხვა ვიწრო სპეციალიზაციის საქმის განხილვაში მიიღოს მონაწილეობა. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ჩანაწერი პრობლემური და ბუნდოვანია. შესაბამისად, ის ვერ პასუხობს ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეების განაწილების მხრივ არსებულ გამოწვევებს:

- (1) მითითება „აუცილებლობის შემთხვევასა“ და „მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილებაზე“ საკმაოდ ბუნდოვანი და ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის შეფასებითი გარემოებებია;
- (2) გაუგებარია, თუ ვის მიერ უნდა შეფასდეს დადგენილი წინაპირობების არსებობა და ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ორგანული კანონის 58<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე სხვა ვიწრო სპეციალიზაციებიდან მოსამართლის შერჩევის შესახებ;

58 თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2018 წლის 29 ივნისის ბრძანება №30-ს.

59 თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №თ-53.

60 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/191.pdf>, წვდომის თარიღი: 09.10.2018]

(3) პროცედურის ჩატარება არ არის იმპერატიული ხასიათის. ნორმის დისპოზიცია იძლევა სხვა სპეციალიზაციიდან მოსამართლის არჩევის მხოლოდ შესაძლებლობას, მაგრამ არ მიუთითებს ამ პროცედურის სავალდებულობაზე;

(4) ბუნდოვანია, იძლევა თუ არა აღნიშნული ჩანაწერი კოლეგიური შემადგენლობის ორი წევრის არჩევის შესაძლებლობას.

პროექტის გუნდმა გამოითხოვა<sup>61</sup> ინფორმაცია, თუ რამდენჯერ და როდის შეირჩა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით, სისხლის სამართლის საქმეთა, ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე იმავე პალატის სხვა ვინაო სპეციალიზაციის საქმის განხილვის მიზნით, თუმცა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ინფორმაცია არ გასცა.

მოსამართლეთა და კანცელარიის თანამშრომელთა განმარტებით, ელექტრონული განაწილების ახალი წესი გამოირიცხავს თავმჯდომარის ჩარევას კონკრეტული საქმეების მოსამართლეებზე განაწილების პროცესში, თუმცა იმ პირობებში, როდესაც თავმჯდომარეს ფართო დისკრეციასა და ბუნდოვან უფლებამოსილებებს თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი აქტები ანიჭებს, შესაძლოა, პირდაპირი ზეწოლის საჭიროება არც იდგეს.

## პროგრამის ელექტრონული შეფერხება

ზოგადი წესის თანახმად, სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი თანამშრომელი საქმეებს რიგითობით ანაწილებს იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება 2 დღეს. საქმეთა განაწილების წესი ასევე ითვალისწინებს დამატებით საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც შესაბამის უფლებამოსილ პირს შეუძლია, საქმე გაანაწილოს რიგითობის წესით. კერძოდ, დაუყოვნებლივ განსახილველ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებს, ასევე იმ საქმეებს, რომელთა განხილვის ვადა 24, 48 ან 72 საათია, კანცელარიის უფლებამოსილი პირი რიგითობის წესით<sup>62</sup> ანაწილებს იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის შეფერხების ხანგრძლივობა აღემატება 3 საათს.<sup>63</sup>

61 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) წერილი №გ01/647/2018.

62 მით. საქმეების განაწილებას მათი შემოსვლის რიგითობისა და მოსამართლეთა ანბანური რიგითობის მიხედვით.

63 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება №1/56, მუხლი 6.

პროექტის გუნდმა გამოითხოვა თითოეულ სასამართლოში სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირის პოზიცია და ასევე ინფორმაცია, ტექნიკური შეფერხებისას საქმეთა რიგითობის წესით განაწილების მარეგულირებელი დამატებითი სამართლებრივი აქტის არსებობის შესახებ.

საყურადღებოა, რომ მიუხედავად 2018 წლის 8 იანვარს შესული ცვლილებისა, რომლის თანახმადაც, ტექნიკური შეფერხებისას საქმეებს სასამართლოს თავმჯდომარის ნაცვლად კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ანაწილებს, რამდენიმე სასამართლო ამ ცვლილების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. თუ რა პროცედურით და ვის მიერ ნაწილდება საქმეები ტექნიკური შეფერხებისას, 2018 წლის ივლის-აგვისტოში მოწოდებულ საჯარო ინფორმაციაში ბათუმის საქალაქო,<sup>64</sup> გურჯაანის,<sup>65</sup> ოზურგეთის,<sup>66</sup> გორის,<sup>67</sup> ხელვაჩაურის<sup>68</sup> რაიონული სასამართლოები მიუთითებენ, რომ ელექტრონული პროგრამის შეფერხებისას საქმეებს ანაწილებს სასამართლოს თავმჯდომარე, რიგითობის წესით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გურჯაანში დაფიქსირებული ტექნიკური შეფერხებისას მოხსენებითი ბარათის და აქტის ტექსტი არ ქმნის ნათელ სურათს, თუ ვის მიერ მოხდა საქმის რიგითობის წესით განაწილება.

პრობლემური და ბუნდოვანია საქმეთა განაწილების წესის გარდამავალი დებულებების ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, ელექტრონულ სისტემაში ნებისმიერი ხარვეზის წარმოშობისას, რომელიც არ არის გათვალისწინებული საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით, კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია, განაწილოს საქმეები რიგითობის წესის დაცვით.<sup>69</sup>

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად, სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე ან სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების შესახებ ატყობინებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და ელექტრონული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ პირს, რაც ფორ-

64 ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის წერილი, №618გ/კ.

65 გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 8 აგვისტოს წერილი, №2576.

66 ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის პირველი აგვისტოს წერილი, №887.

67 გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 8 აგვისტოს წერილი, №9152.

68 ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის წერილი, №985.

69 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/56.pdf>, წვდომის თარიღი: 09.10.2018] მუხლი 8.

მდება შესაბამისი აქტით.<sup>70</sup> დროებითი შეფერხების აღმოფხვრისას კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი უმაღლეს საბჭოს მიმართავს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღინიშნება ინფორმაცია მის მიერ ამ პერიოდში რიგითობის წესით განაწილებული საქმეების შესახებ.<sup>71</sup> იმ შემთხვევაში, თუ მოხსენებითი ბარათების შესწავლის შედეგად გამოვლინდება რიგითობის წესით იმ საქმის განაწილების ფაქტი, რომელიც, წესის თანახმად, რიგითობით გასანაწილებელ საქმეთა კატეგორიას არ მიეკუთვნება, მენეჯმენტის დეპარტამენტის განმარტებით, მოხდება დაკავშირება შესაბამისი სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელთან და ინფორმაციის დაზუსტება. თუ დადასტურდება, რომ საქმე არ უნდა განაწილებულიყო რიგითობის წესით, ის ბრუნდება სასამართლოს კანცელარიაში და ხელახლა რეგისტრირდება და ნაწილდება ელექტრონული პროგრამის შეფერხების აღმოფხვრის შემდგომ.

**მენეჯმენტის დეპარტამენტი:** „თუ კანცელარიის თანამშრომლის მიერ საქმეთა განაწილება მოხდება რიგითობის წესით, მაშინ, როდესაც ამ გზით არ უნდა მომხდარიყო განაწილება, მენეჯმენტის დეპარტამენტი დაუკავშირდება კანცელარიის თანამშრომელს და გაარკვევს განსხვავებული წესით განაწილების საფუძველს. თუკი დადასტურდება, რომ ეს საქმე რიგითობის წესის გამოყენებით არ უნდა განაწილებულიყო, საქმე ბრუნდება პირველ ეტაპზე, რეგისტრირდება ელექტრონული წესით და განაწილდება პროგრამის გამოყენებით ამის თაობაზე, რა თქმა უნდა, შედგება შესაბამისი აქტი.“

საბჭოს მიერ დამტკიცებული წესით, განსაზღვრული არ არის აქტისა თუ მოხსენებითი ბარათის შედგენის კონკრეტული ვადები და შინაარსი, თუმცა სასამართლოს კანცელარიის თანამშრომლებმა ინდივიდუალური ინტერვიუებისას განმარტეს, რომ პრაქტიკაში, პროგრამის შეფერხებისას რეაგირება ხდება დაუყოვნებლივ და შეფერხების აღმოფხვრის შემდგომ მოხსენებითი ბარათები შესაბამის პირებს მიეწოდებათ უმოკლეს ვადებში. შევითხვაზე, გააადვილებდა თუ არა მათ საქმიანობას კონკრეტული ვადებისა და მოხსენებითი ბარათების ერთგვაროვანი ე.წ. შაბლონური ვერსიის დამტკიცება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, რესპონდენტებმა დადებითად უპასუხეს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმირების შემდეგ კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს რიგითობის წესით განაწილებულ საქმეთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას შემდეგი აღნიშვნით: „ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე“.

რაც შეეხება 2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გამოვლენილ შეფერხებებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინფორმაციით,<sup>72</sup> დაფიქსირდა 6 შეფერხება, რის შედეგადაც რიგითობის წესით განაწილდა 46 საქმე:

70 იქვე, მუხლი 6.

71 იქვე.

72 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №2150/2981-03-ო.

ა) თელავის რაიონულ სასამართლოში შეფერხების შედეგად რიგითობის წესით განაწილდა 16 საქმე:<sup>73</sup>

- ორი შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ;
- ორი სისხლის სამართლის საქმე (საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე);
- ორი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე;
- სამოქალაქო სამართალწარმოების საქმე;
- ცხრა შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედებების შესახებ.

თელავის რაიონული სასამართლოს მოხსენებითი ბარათის ტექსტიდან გამომდინარე, შეფერხება აღინიშნა 12 იანვარს, 10:15-დან 17:25 საათამდე. საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად, შეფერხებისას, რომელიც არ აღემატება 2 დღეს, მაგრამ აღემატება სამ საათს, რიგითობის წესით ნაწილდება დაუყოვნებლივ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები, ასევე ის საქმეები, რომელთა განხილვის ვადა 24, 48, ან 72 საათია. პრობლემურია, რომ მოხსენებით ბარათში მითითებული რიგითობის წესით განაწილებული საქმეების ჩამონათვალში გვხვდება ისეთი საქმეებიც, რომელთა განხილვის ვადა არ არის 24, 48 ან 72 საათი, მაგალითად, ორი სისხლის სამართლის საქმე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე. ასევე, გაუგებარია, რა ტიპის საქმე იგულისხმება სამოქალაქო სამართალწარმოების საქმეში და იყო თუ არა ის შემჭიდროებულ ვადებში განსახილველი.

ბ) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიისა და მისაღები განყოფილების წამყვანი სპეციალისტის მოხსენებითი ბარათიდან გამომდინარე, ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების შედეგად ელექტრონული პროგრამის გარეშე განაწილდა:<sup>74</sup>

- 3 სარჩელი უზრუნველყოფით;
- სამართალდარღვევის ოქმები;
- აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობა პატიმრობის შეფარდების შესახებ;
- აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობა გირაოს შეფარდების შესახებ;
- საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე სათავსოს ჩხრეკის კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობა;
- ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ შუამდგომლობები;
- სისხლის სამართლის საქმე.

ანგარიშის ავტორებისთვის მიწოდებული მოხსენებითი ბარათის ტექსტიდან არ იკვეთება პროგრამის გარეშე განაწილებული საქმეების ზუსტი ოდენობა, თუმცა ქუ-

73 იქვე.

74 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №382/308-03-ო.

თაისის საქალაქო სასამართლოს შესაბამის უფლებამოსილ პირთან კომუნიკაციის შედეგად დაზუსტდა, რომ ჯამში აღნიშნული შეფერხებისას პროგრამის გარეშე განაწილდა 17 საქმე.

საყურადღებოა ასევე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის ელ. პროგრამის გარეშე განაწილება. კერძოდ, მოხსენებითი ბარათის ტექსტიდან ჩანს, რომ წინასასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ 23 იანვრისთვის არც პროგრამულად და არც მატერიალურად კანცელარიისათვის საქმე არსებითად განსახილველი მოსამართლისათვის გასანაწილებლად დაბრუნებული არ იყო, ხოლო არსებითი განხილვის სხდომა ჩანიშნული იყო 24 იანვრისთვის. კანცელარიის შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან ასაცილებლად სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად რიგითობის წესით განაწილა. ვინაიდან ქუთაისის სასამართლოში შეფერხების ხანგრძლივობა 3 დღეზე ნაკლები იყო, არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის რიგითობის წესით განაწილებისათვის.<sup>75</sup>

გ) გურჯაანის რაიონული სასამართლოს მენეჯერის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ 2018 წლის 5 აპრილს, 14 საათზე სასამართლოში შეიზღუდა ინტერნეტ-სერვისებსა და საქმის განაწილების პროგრამასთან წვდომა. ვინაიდან, მათი გადმოცემით, შეფერხების ვადა აღემატებოდა 3 საათს, რიგითობის წესით განაწილდა 1 სარჩელი უზრუნველყოფით. პროგრამასთან წვდომა აღდგა შეფერხებიდან სამი საათისა და ხუთი წუთის შემდგომ, 17:05-ზე;

დ) რუსთავის საქალაქო სასამართლოში 2018 წლის 29 ივნისს, 09:00 საათზე შეფერხდა ელექტრონული განაწილების პროგრამა.<sup>76</sup> ვინაიდან, სასამართლოს ინფორმაციით, შეფერხების ვადა აღემატებოდა სამ საათს, რიგითობის წესით განაწილდა:

- სამოქალაქო სარჩელი უზრუნველყოფით;
- შუამდგომლობა ფარული ვიდეოგადაღებისა და ვიდეო-აუდიოჩანერის თაობაზე;
- შუამდგომლობა მობილური ტელეფონის ამოღების კანონიერად ცნობის თაობაზე;
- 2 შუამდგომლობა დაკავების თაობაზე;
- 2 შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე;
- შუამდგომლობა ფარული მოსმენისა და ჩანერის თაობაზე;
- სამართალდარღვევის ორი საქმე განაწილდა მაგისტრატ მოსამართლეზე.

75 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №382/308-03-ო.

76 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №2150/2981-03-ო.

შეფერხების თაობაზე მომზადებული აქტის თანახმად, პროგრამაზე წვდომა განახლდა იმავე დღეს 13:53 საათიდან.

ე) 2018 წლის 16 ივლისს, 14:00 საათზე ხონის მაგისტრატ სასამართლოში გაითიშა საქმის განაწილების პროგრამა.<sup>77</sup> ვინაიდან, სასამართლოს ინფორმაციით, შეფერხების ვადა აღემატებოდა სამ საათს, რიგითობის წესით განაწილდა:

- შუამდგომლობა აღკვეთი ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შესახებ;
- შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ.

შეფერხების თაობაზე მომზადებული აქტის თანახმად, ტექნიკური ხარვეზი აღმოიფხვრა 17 ივლისს, 09:00 საათზე;

ვ) 2018 წლის 13 აგვისტოს შეფერხება დაფიქსირდა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოში, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ინფორმაციით, შეფერხების ხანგრძლივობა აღემატებოდა სამ საათს, 09:40-დან 15:13-საათამდე, რიგითობის წესით გადასანაწილებელი საქმე გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოში ამ პერიოდში არ შესულა.

## საქმეთა განაწილების პროგრამის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტი და თბილისის საქალაქო, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს კანცელარიის თანამშრომლები მიიჩნევენ, რომ სასამართლო სისტემა მომზადებული და მობილიზებული შეხვდა სისტემის დანერგვის საწყის ეტაპზე გამოვლენილ გამოწვევებს.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტი:** „მე ვთვლი, რომ სასამართლო სისტემა პროგრამის ამუშავების პირველ ეტაპზე არსებულ გამოწვევებს შეხვდა ძალიან მომზადებული და მობილიზებული. მიუხედავად სირთულეებისა, კითხვების არსებობის შემთხვევაში იყო აქტიური კომუნიკაცია, მათ შორის სასამართლოებსა და მენეჯმენტის დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის.“

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარია:** „სასამართლო მთლიანად მომზადებული იყო. დღეის მდგომარეობით, პროგრამის მუშაობის შეფერხება არ დაფიქსირებულა.“

77 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №2150/2981-03-თ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის თანახმად, საქმეთა განაწილების ელექტრონულ სისტემაში მოსამართლეთა შესაბამის სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში/ვინრო სპეციალიზაციაში რეგისტრაციას, რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილების, შესწორების ან დამატების შეტანას, ასევე, რეგისტრაციის მონაცემების გაუქმებას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი. სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი ასევე უზრუნველყოფს მოსამართლის შვებულების, მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში ასახვას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მენეჯმენტის დეპარტამენტის დასაკომპლექტებლად განსაზღვრულია შვიდი საშტატო ერთეული, თუმცა ამ ეტაპზე დეპარტამენტში უფლებამოსილებას ახორციელებს მხოლოდ 1 უფროსი კონსულტანტი და 1 კონსულტანტი. 2018 წლის 8 ოქტომბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა კონკურსი, მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის შესარჩევად, თუმცა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონკურსის შედეგები ცნობილი არ არის.<sup>78</sup>

თავად მენეჯმენტის დეპარტამენტის განმარტებით, არანორმალური შრომის შედეგია ის, რომ ორი ადამიანის მუშაობის პირობებში სერიოზული შეცდომა ან შეფერხება არ დაფიქსირებულა. თანამშრომლების განმარტებით, მათთვის უცნობია, თუ რა გარემოებების გამო ვერ ხერხდება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ვაკანტური ადგილების შევსება.

## პრაქტიკაში საქმის განაწილების პროცესი

საქმის ავტომატურად, ელექტრონული მეშვეობით განაწილების სისტემის ფუნქციონალური აღწერილობის თანახმად,<sup>79</sup> საქმის განაწილების მოდული ჩაშენებულია საქმის წარმოების პროგრამაში, რომელსაც აქვს ავტორიზაციის ფუნქცია, შესაბამისად, განაწილების მოდული დამოუკიდებელ (ცალკე) ავტორიზაციას არ საჭიროებს.

რაც შეეხება თავად საქმის განაწილების პროცესს, ფუნქციონალური აღწერილობა განსაზღვრავს სასამართლოში საქმის განაწილების უზრუნველსაყოფად კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ განსახორციელებელ ეტაპებს:

78 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/264.pdf>, წვდომის თარიღი: 12.10.2018]

79 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წერილი №1821/2456-03-ო.

- (1) სასამართლოში შესული სარჩელი/განცხადება კანცელარიის თანამშრომლის მიერ რეგისტრირდება და ენიჭება გასანაწილებელი საქმის სტატუსი;
- (2) საქმის განაწილებაზე უფლებამოსილი პირი, გასანაწილებელი საქმეებიდან, ირჩევს ერთ-ერთს და მიუთითებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, საქმის განაწილების შესაძლო პრინციპებიდან იმ ერთს, რომელიც მიესადაგება არჩეული საქმის კატეგორიას. კერძოდ, პროგრამა პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაბამის უფლებამოსილ პირს სთავაზობს განაწილების ხუთ შესაძლო პრინციპს: ალბათობით, წესის გარეშე, მორიგეობით, გამონაკლისი შემთხვევა, მაგისტრ მოხელეზე განაწილება. შესაბამის სპეციალიზაციაში მოსამართლეთა სათანადო რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოში მოქმედებს მხოლოდ ორი სახის განაწილების პრინციპი: ალბათობა და გამონაკლისი შემთხვევა, ხოლო უზენაეს სასამართლოში თითოეული საქმე შემთხვევითი განაწილების პრინციპით ნაწილდება;

**ალბათობით განაწილება** – გულისხმობს საქმის განაწილებას ელექტრონული სისტემის მიერ ავტომატურად შერჩეულ შესაბამისი კოლეგიის /პალატის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეზე;


**მორიგეობით განაწილება** – საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის ცალკეულ საქმეებზე, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს, სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილი გრაფიკის მიხედვით, არასამუშაო და სამუშაო საათებში აღნიშნული საქმეები ნაწილდება მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის თანახმად. ამ შემთხვევაში განაწილებულ საქმეთა რაოდენობა მხედველობაში არ მიიღება;

**გამონაკლისი წესით** – იგულისხმება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი იმ საქმეების განაწილება, რომლებზეც არ ვრცელდება შემთხვევითი განაწილების პრინციპი; მაგისტრ მოხელეზე განაწილება – ამ პრინციპით ნაწილდება საქმეების ის კატეგორია, რომელიც მაგისტრათი მოსამართლის განსჯადია;<sup>80</sup>

**წესის გარეშე** – იმ შემთხვევაში, თუ საქმე ნაწილდება იმ სასამართლოში, სადაც კოლეგიაში ან/და სპეციალიზაციაში მხოლოდ ერთი მოსამართლეა, საქმე ნაწილდება „წესის გარეშე“ პრინციპით.

80 მაგისტრ მოხელეზე განაწილების პრინციპი ფუნქციონალურ აღწერილობაში განმარტებულია, როგორც მაგისტრათი მოსამართლის განსჯადი საქმეების განაწილება, თუმცა ტერმინთან შეუსაბამობის გათვალისწინებით, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული პრინციპით ნაწილდება, მაგალითად, უდავო წარმოების საქმეები.

(3) საქმის განაწილების შემდეგ, პროგრამა სისტემაში ავტომატურად აგენერირებს დაშტრიხულ განაწილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: საქმის ნომერს, საქმის შემოტანის თარიღს, შემომტანს, საქმის განაწილების თარიღს, საქმის განაწილების ნომერს, საქმის განაწილების პრინციპი, მოსამართლე, სასამართლო, სასამართლოს თავმჯდომარე.<sup>81</sup>




The image shows a document from the Georgian Judicial System. At the top center is the coat of arms of Georgia. To the right is a barcode with the number 03320180118153. Below the coat of arms is the text "თბილისის საქალაქო სასამართლო" (Tbilisi City Court). The main title is "საქმის განაწილების დამადასტურებელი დოკუმენტი" (Document confirming case distribution). Below this is a table with the following information:

საქმის ნომერი	330310018002263924
საქმის შემოტანის თარიღი	18.01.2018 14:37:32
შემომტანი	[REDACTED]
საქმის განაწილების თარიღი	18.01.2018 17:38:54
საქმის განაწილების ნომერი	0332018011815331
საქმის განაწილების პრინციპი	შემთხვევითი
მოსამართლე	თამარ ოქროპირიძე

განაწილდა საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის მეშვეობით

81 იმ პირობებში, როდესაც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანაცვებების თანახმად, სასამართლოს თავმჯდომარე, წესით, ჩამოშორებული უნდა იყოს საქმის განაწილების პროცესისგან, გაუგებარია საქმის განაწილების დოკუმენტის ერთ-ერთ რეკვიზიტად სასამართლოს თავმჯდომარის ხელმოწერის მითითება.

2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ინსტანციების მიხედვით განაწილებული საქმეები



რაც შეეხება იმას, თუ როგორ ხდება პრაქტიკაში ინსტანციების მიხედვით საქმეთა განაწილება, პროექტის გუნდი ინდივიდუალური ინტერვიუების ფორმატში გაესაუბრა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოს იმ თანამშრომლებს, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი სასამართლოში დარეგისტრირებული საქმის განაწილებაზე. გასაუბრებისას არაერთი საინტერესო გარემოება გამოიკვეთა:

- (1) პირველი ინსტანციის სასამართლოში დღის განმავლობაში შესული საქმეები რეგისტრირდება მომსახურების ცენტრში სპეციალისტის მიერ, ნაწილდება მეორად სპეციალისტებზე, რომლებიც ავსებენ საქმის მონაცემებს. შემდგომ სკანერის საშუალებით იქმნება საქმის ელექტრონული ვერსია და საქმე მატერიალური და ელექტრონული ფორმატით ეგზავნება იმ უფლებამოსილ თანამშრომელს, რომელიც ელექტრონული პროგრამით კატეგორიისა და სპეციალიზაციის მიხედვით ანაწილებს საქმეს, განაწილების შესაძლო პრინციპების გათვალისწინებით. დღის ბოლოს, მაქსიმუმ შვიდის ნახევრამდე, დღის განმავლობაში შესული ყველა საქმე განაწილებულია და მომდევნო დღეს გადაეცემა შესაბამისი მოსამართლის თანაშემწეს. რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, საქმე გადის მსგავს პროცედურებს, ნაწილდება ელექტრონულად, წინასასამართლო განხილვისთვის, წინასასამართლო სხდომის დასრულების შემდგომ კი, საქმე ხელახლა ნაწილდება ელექტრონულად შემთხვევითი განაწილების პრინციპით. საქმის ელექტრონული პროგრამით განაწილების პერიოდი დამოკიდებულია

საქმის მოცულობაზე. შემჭიდროებულ ვადებში განსახილველი განცხადებები დაუყოვნებლივ ნაწილდება;

- (2) მეორე ინსტანციის სასამართლოში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გაგზავნილი საჩივრები, შესვლის დღეების მიხედვით (მაგალითად, სამოქალაქო საქმეთა კანცელარიაში საქმეები ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს შედის), იმ დღესვე, კატეგორიების შესაბამისად ხარისხდება, ჟურნალებში რეგისტრირდება და ეტაპობრივად ნაწილდება. მაგალითად, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში პირველი ინსტანციიდან გადაგზავნილი საქმეები იყოფა სამ კატეგორიად: კერძო საჩივრად, სააპელაციო საჩივრად, სამართალდარღვევად. ჯერ ნაწილდება ერთი კატეგორიის საჩივრები. დღის ბოლოს განაწილებული საქმე მოსამართლის თანაშემწეს გადაეცემა, თუმცა განაწილებისთვის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს საქმის ელექტრონული ვერსია. იმ შემთხვევაში, თუ პირველი ინსტანციის სასამართლო პროგრამის საშუალებით არ უზრუნველყოფს გადაგზავნილი საქმის/საჩივრის/ განცხადების ელექტრონულ ვერსიას, სააპელაციო სასამართლოს კანცელარია ამ საქმეს ვერ ანაწილებს და შესაბამისად, ამ გარემოებაზე მითითებით უკან უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს;
- (3) უზენაეს სასამართლოშიც საქმის განაწილებისთვის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ქვემდგომი სასამართლოებიდან საქმის ელექტრონული ვერსიის გადაგზავნა. საკასაციო საჩივრები უზენაეს სასამართლოში წინასწარ განსაზღვრული კვირის დღეების მიხედვით შედის. კურიერის მიერ მიტანილი საქმეები ტარდება ჟურნალში და გადაეცემა იმ პირებს, რომლებიც არიან უშუალოდ პასუხისმგებლები საქმის განაწილებაზე. პასუხისმგებელი პირები ადარებენ მატერიალურ და ელექტრონულ ვერსიებს. საქმეები არ გროვდება და მიღებისთანავე გადაეცემა პასუხისმგებელ პირს. სისხლის სამართლის პალატაში ექსტრადიციასთან დაკავშირებული საქმეების არსებობის შემთხვევაში, განხილვის მჭიდრო ვადების გამო, პრიორიტეტულად ხდება ამ კატეგორიის საქმის განაწილება. საქმეთა განაწილებისათვის საჭირო დრო დამოკიდებულია შესული საქმეების რაოდენობაზე, თუმცა მაქსიმუმ დღის ბოლოს ყველა შესული საქმე განაწილებულია. საქმეთა ელექტრონული განაწილების შემდგომ საქმის განაწილების დოკუმენტი დაერთვის საქმის მატერიალურ ვერსიას და გადაეცემა იმ მოსამართლის თანაშემწეს, რომელზეც განაწილდა საქმე პროგრამით.

## რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმეთა შემთხვევითი და თანაბარი განაწილების შესახებ ამ დრომდე მიღებული აქტების, ასევე წესის პილოტურ რეჟიმში მუშაობასა და ქვეყნის სრული მასშტაბით ახალი პროგრამის ამოქმედებაზე დაკვირვების გათვალისწინებით, აუცილებელია, გაგრძელდეს, წესის დახვეწის მიზნით, სისტემური მუშაობა. ამ ეტაპისთვის ანალიზმა გამოავლინა, რომ საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპის სრულფასოვანი ამოქმედებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- საქმის ელექტრონული პროგრამით განაწილების პროცესისა და პროგრამის შეფერხებისას განსახორციელებელი ეტაპების კანონით დარეგულირება;
- ყველა სასამართლოში, მათ შორის მაგისტრატ სასამართლოებში, საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვა, მოსამართლეთა სათანადო რაოდენობის უზრუნველყოფის გზით;
- მოსამართლეთა მორიგეობის წესის იმგვარად მოწესრიგება, რომ შეუძლებელი იყოს სპეციალიზაციისა და შემთხვევითობის დაუცველად საქმის ერთი კონკრეტული მოსამართლისათვის პირდაპირ გადაცემა;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვინრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა განაწილება თავად საბჭოს მიერ, დასაბუთებული გაჭვირვალე და ნათელი პროცედურით;
- საქმეთა კოლეგიური განხილვისას კოლეგიური შემადგენლობის სამივე მოსამართლის შერჩევა ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით;
- აცილების/თვითაცილების შემთხვევაში საქმის ხელახალი განაწილების პროცედურისა და ვადების გაწერა და ამ პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის ჩართულობის გამორიცხვა;
- განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას საქმის სხვა მოსამართლისთვის დროებით გადაცემის საფუძვლებისა და პროცედურის ნათლად გაწერა;
- სასამართლოს თავმჯდომარისათვის მოსამართლეთა დატვირთულობის შემცირების ან/და გაზრდის უფლებამოსილების ჩამორთმევა;
- საქმეთა თანაბრად განაწილების უზრუნველსაყოფად საქმის წონის სამართლიანი და ობიექტური პრინციპის გათვალისწინება;
- ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირების პროცესზე განგრძობად რეჟიმში დაკვირვება და გამოვლენილი გამოწვევებისა და ასევე წესში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, მოხელეთა მუდმივი გადამზადება. ასევე, პერიოდული ანგარიშების მომზადება;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის სრულად დაკომპლექტება;
- საქმის განაწილების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ელექტრონული პლატფორმის ფორმირება/ამოქმედება, თითოეული სასამართლოს მონაცემების დროულად და სრულყოფილად მოძიებისა და დამუშავების მიზნით.

მოსამართლეთა დისციპლინური  
პასუხისმგებლობის სისტემა და  
დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობა

## საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის შეფასება

სასამართლოს დამოუკიდებლობა სუვერენულ სახელმწიფოთა დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზომია. დამოუკიდებელი სასამართლო არ არსებობს ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის გარეშე. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა არ არის პრივილეგია, არამედ, ის ემსახურება კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების მაძიებელი პირების ინტერესებს.<sup>82</sup> მაშინ, როცა მოსამართლეთა უმეტესობა პროფესიას პატივისცემით ეკიდება, ხშირად არსებობს ზოგიერთი მოსამართლის მხრიდან არასათანადო და არაკეთილსინდისიერი ქმედების რისკი,<sup>83</sup> დამოუკიდებლობის სახელით. სწორედ ამიტომ, დემოკრატიულ სახელმწიფოებში განვითარებულია მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის პრინციპისადმი პატივისცემა და განხორციელდეს პოლიტიკური გავლენებისაგან თავისუფალი და დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე.<sup>84</sup>

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში დისციპლინური პასუხისმგებლობა ემსახურება სასამართლოს ავტორიტეტისა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის დაცვის ინტერესს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, მოსამართლის ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის სისტემამ, ერთი მხრივ, უზრუნველყოს მოსამართლის მხრიდან არასათანადო და არაკეთილსინდისიერი ქცევის პრევენცია და გადაცდომის შემთხვევაში – შესაბამისი რეაგირება, მეორე მხრივ კი, გაითვალისწინოს ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობის მყარი გარანტიები, რათა არ გადაიქცეს მოსამართლეებზე ზეწოლის ბერკეტად. ზემოაღნიშნული ოქროს შუალედი არის როგორც ინდივიდუალური მოსამართლის, ისე მთლიანი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ქვაკუთხედი.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიებს<sup>85</sup> და, აგრეთვე, მოიცავს საერთო სასამართლოების მოსამართ-

82 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N1 სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა შეუცვლელობის სტანდარტების შესახებ, პუნქტი 10.

83 Robert H. Tembeckian Judicial Disciplinary Hearings Should be Open, *The Justice System Journal*, vol. 28, November, 2007. გვ. 419

84 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N10, მართლმსაჯულების საბჭო დამოუკიდებლობის სამსახურში, პუნქტი 63.

85 საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს; არავის არ აქვს უფლება, მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე; ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

ლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის მარეგულირებელ ნორმებს. ეს უკანასკნელი არაერთხელ გამხდარა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მკაცრი კრიტიკის საგანი. კანონმდებლობაში სხვადასხვა დროს გატარებული ცვლილებების შედეგად მეტ-ნაკლებად იხვენებოდა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სამართალწარმოების ნორმები. განსაკუთრებული პოზიტიური ცვლილებები კანონმდებლობაში სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ შემდეგ შეინიშნება.

სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღით“ გათვალისწინებული ცვლილებები დისციპლინური სამართალწარმოების დახვეწის კუთხით მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. აღნიშნული ცვლილებების ამოქმედებამდე მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი იყო სრულიად კონფიდენციალური, რის გამოც შეუძლებელი იყო საზოგადოების მხრიდან მასზე კონტროლი. დისციპლინური საჩივრებისა და დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლეების რაოდენობას შორის თვალშისაცემი სხვაობა<sup>86</sup> საზოგადოებაში იწვევდა მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების სისტემის გაუმართაობის განცდას.

„მესამე ტალღის“ რეფორმის შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, დისციპლინური გადაცდომისთვის გათვალისწინებული ერთ-ერთი დისციპლინური სახდელი – მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება არ გამოიყენება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების მიმართ, ვინაიდან მათი თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ იმპიჩმენტის წესით<sup>87</sup> და მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის ან მოსამართლის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში.<sup>88</sup>

პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, პრაქტიკაში გამოვლენილი, ქვემოთ განხილული ხარვეზები კანონში არსებული ცალკეული ნორმების ნათლად ჩამოყალიბებისა და ამ სფეროში კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით მუშაობის გაგრძელების საჭიროებაზე მიუთითებს.

86 მაგალითისთვის, 2016 წელს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სულ წარმოებაში იყო 488 დისციპლინური საქმე, საიდანაც მხოლოდ 1 შემთხვევაში მიეცა მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში, 2015 წელს წარმოებაში იყო 375 დისციპლინური საქმე და 1 საქმეზე მისცეს მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში. 2014 წელს წარმოებაში იყო 383 დისციპლინური საქმე და არც ერთ შემთხვევაში მოსამართლე არ მიუციათ დისციპლინურ პასუხისგებაში, 2013 წელს წარმოებაში იყო 272 საქმე, პასუხისგებაში არც ერთი მოსამართლე არ მიეცა. [სადისციპლინო სტატისტიკა ხელმისაწვდომია <http://hcoj.gov.ge/distsiplinuri-samartaltsarmoeba/sadistsiplinostatistika> ვებდომის თარიღი: 05.12.2018]

87 საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის ორგანული კანონი N3262.

88 საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლი.

## მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზანი და გადაცდომის სახეები

„მესამე ტალღით“ გათვალისწინებული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, ორგანული კანონის არც დღევანდელი რედაქცია ითვალისწინებს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მიზანს, რაც ქმნის დისციპლინური სამართალწარმოების გზით პარალელური მართლმსაჯულების განხორციელების საფრთხეს.<sup>89</sup> კანონში ნათლად განერილ დისციპლინური პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებსა და დასახულ მიზნებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გარკვეულ მიმართულებას აძლევს და ამარტივებს სამართალწარმოებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ასევე უზრუნველყოფს მისი არამიზნობრივი გამოყენების თავიდან აცილებას.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი კანონმდებლობით რეგულირებულ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და დისციპლინური გადაცდომის სახეებზე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან უამრავი კრიტიკა არსებობს,<sup>90</sup> „მესამე ტალღით“ გათვალისწინებული ცვლილებები ასევე არ შეხებია დისციპლინური გადაცდომის სახეებს და ჩამონათვალი ისევ შეიცავს ფართო განმარტების ნორმებს.<sup>91</sup> ორგანული კანონით დადგენილი დისციპლინური გადაცდომის სახეები კვლავ ძალზედ ზოგადი და ბუნდოვანი ხასიათისაა და ვერ აკმაყოფილებს განჭვრეტადობისა და სიცხადის კრიტერიუმებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო რეფორმის მე-4 ტალღის ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომების კონკრეტულ ჩამონათვალს, რაც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს. შესრულებული სამუშაო მისასალმებელია, თუმცა კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში ამ დრომდე ინიცირებული არ არის.<sup>92</sup>

89 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა: რეფორმები და გამონწვევები, 2017. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემა, გვ.123.


90 იხ. მაგ. ვენეციის კომისიის 2007 წლისა და 2014 წლის დასკვნები საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, აგრეთვე, კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ სხვადასხვა დროს არაერთ კვლევაში აკრიტიკებდა დისციპლინური გადაცდომის სახეებს. აგრეთვე, მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, 2014 EMC-ს, საია-სა და საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს კვლევა და სხვ.

91 დისციპლინური გადაცდომის სახეებს ითვალისწინებს საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

92 ადამიანის უფლებების სწავლების და განვითარების ცენტრისა (EMC) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ჩრდილოვანი ანგარიში – სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა, 2018, გვ.75-76.

## მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება და შეუფერებელი ქმედება

დეფინიციის არარსებობის გამო, ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობაში ან არაჯეროვან შესრულებაში, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს. იგივე ეხება მოსამართლის მხრიდან შეუფერებელ ქმედებას, რომელიც ბლალავს სასამართლოს ავტორიტეტს და ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას. დისციპლინური გადაცდომის სახეების ზოგადი ფორმულირება, მათი დეფინიციების არარსებობა ნორმის ინტერპრეტირების ფართო საშუალებას იძლევა და, ერთი მხრივ, ქმნის დისციპლინური პასუხისმგებლობის მოსამართლის მიმართ არაკეთილსინდისიერად გამოყენების რისკს და, შესაბამისად, საფრთხეს უქმნის ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას, მეორე მხრივ კი, ბუნდოვანებას აჩენს საჩივრის/განცხადების ავტორისთვის. გარდა ამისა, კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის სახეები, გარკვეულწილად, ერთმანეთს ფარავს. მაგალითისთვის, მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობად ან არაჯეროვან შესრულებად შესაძლოა, საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაც იქნეს მიჩნეული.



## ეთიკის ნორმებისა და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის დარღვევა

სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა, როგორც დისციპლინური გადაცდომის სახე, ზოგადი ხასიათისაა და არ არის ქმედებების დონეზე დაკონკრეტებული. თუ კანონ-

93 წყარო: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისათვის 2018 წლის 5 დეკემბრისა და 2019 წლის 18 იანვრის წერილები N84/3312-03-ო და N13/35-03-ო. მონაცემებში მითითებულია შესაძლო დისციპლინური გადაცდომების რაოდენობა (დისციპლინური საქმე რიგ შემთხვევებში მოიცავს ერთზე მეტი გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტს).

ნის აღნიშნული ჩანაწერი გულისხმობს სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევას, მნიშვნელოვანია, გაკეთდეს განმარტება და დაკონკრეტდეს ეთიკის წესების მუხლები, ვინაიდან ნებისმიერი ეთიკის ნორმის დარღვევა არ უნდა იწვევდეს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.<sup>94</sup> კრიტიკულად შეფასდა ზოგადი სადამსჯელო მექანიზმის შექმნა ეთიკის ნორმების დარღვევისთვის ვენეციის კომისიის მხრიდან ჯერ კიდევ 2007 წელს და აღინიშნა, რომ გაცილებით უფრო ზუსტი დებულებები უნდა გაიწეროს, როდესაც საქმე ეხება დისციპლინურ პასუხისმგებლობას.<sup>95</sup> დისციპლინური გადაცდომის არსებულ სახეებში კონკრეტული მუხლების დაკონკრეტების აუცილებლობის მხრივ იგივე ითქმის კორუფციულ სამართალდარღვევაზე ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენებაზე,<sup>96</sup> ვინაიდან ორგანულ კანონში არსებულმა ფორმულირებამ შესაძლოა, გამოიწვიოს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის ყველა ნორმის მოსამართლეებზე გავრცელება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, დაკონკრეტდეს კანონის ის ნორმები, რომლებიც რელევანტურია მოსამართლეებთან მიმართებით.

## საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება

მოსამართლის მხრიდან საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების მოტივით, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში ხშირად შედის საჩივრები. უნდა აღინიშნოს, რომ საქმის განხილვის ვადების დარღვევის დადასტურებულ შემთხვევებშიც კი საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყვეტილია მოსამართლეთა გადატვირთულობის მოტივით და აღნიშნული მსჯელობის ერთ-ერთ არგუმენტად საბჭოს მოსამართლეზე წლის განმავლობაში განაწილებული და დასრულებული საქმეების სტატისტიკა მოჰყავს.<sup>97</sup> აღნიშნული კრიტიკას იმსახურებს, ვინაიდან მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებით და დასრულებული საქმეების პროცენტულობით შეუძლებელია, დადგინდეს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაში მოსამართლის ბრალეულობა. აგრეთვე, უცნობია, პროცენტულად რა რაოდენობის საქმის დასრულება მიიჩნევა მოსამართლის მიერ მოვალეობის პირნათლად შესრულებად. მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ საქმეზე სხვადასხვა პროცესუალური ქმედების გარდა, წლის განმავლობაში მოსამართლის მიერ დასრულებული საქმეების დაბალი პროცენტული მაჩვენებლის დროს შეფასდეს


94 Judicial Integrity Group, Commentary of the Bangalore principles 2007, გვ. 32. [ხელმისაწვდომია: [https://www.judicialintegritygroup.org/images/resources/documents/BP\\_Commentary\\_Engl.pdf](https://www.judicialintegritygroup.org/images/resources/documents/BP_Commentary_Engl.pdf) წვდომის თარიღი 05.12.2018]

95 Opinion on the Law on Disciplinary Responsibility and Disciplinary Prosecution of Judges of Common Courts of Georgia adopted by the Venice Commission at its 70th Plenary Session 2007, პუნქტი 17. აგრეთვე, ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DHR) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DGI) ერთობლივი დასკვნა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა კანონპროექტზე, 2014, პარაგრაფი 28.

96 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

97 აღნიშნულ საქმეებს წარმოადგენს მაგ: N46/17, N52/17, N80/17, N112/17 და ა.შ.

მოსამართლის მიერ განხილული სხვა საქმეების სირთულეც. წინააღმდეგ შემთხვევაში, რისკის ქვეშ დგება მოსამართლის გადატვირთულობის ობიექტური აღქმა.



საყურადღებოა, რომ მოსამართლეზე წლის განმავლობაში განაწილებული და მის მიერ დასრულებული საქმეების სტატისტიკის მოხმობას ვერ ვხვდებით საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების საფუძვლით მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას.<sup>99</sup> შესაბამისად, დღემდე არსებული პრაქტიკიდან რთულია, დადგინდეს, მოსამართლის გადატვირთულობის მოტივით რა შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს დისციპლინური წარმოება საბჭოს მიერ და რა შემთხვევაში მიეცეს მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში.


### დისციპლინური საჩივრები/განცხადებები აქტის კანონიერების საფუძვლით

მიუხედავად კანონში არსებული ჩანაწერისა, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე

98 წყარო: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისათვის 2018 წლის 5 დეკემბრის და 2019 წლის 18 იანვრის წერილები N84/3312-03-ო და N13/35-03-ო. მონაცემებში მითითებულია შესაძლო დისციპლინური გადაცდომების რაოდენობა (დისციპლინური საქმე რიგ შემთხვევებში მოიცავს ერთზე მეტი გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტს).

99 იხ. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2018 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება N2/01-2018. აღნიშნული გადაწყვეტილებით, მოსამართლეს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებისთვის დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება – კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

ზედამხედველობა,<sup>100</sup> პრაქტიკაში ჭარბობს აქტის კანონიერების საფუძვლით დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შესული დისციპლინური საჩივრები და განცხადებები, რაც საჩივრის/განცხადების ავტორთა დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ დაბალ ცნობიერებაზე მოუთითებს. ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს დისციპლინური საჩივრის/განცხადების მიღებასა და წარმოებაზე უარის თქმის საფუძველი არა აქვს, იღებს, ამოწმებს და იკვლევს აღნიშნულ განცხადებებსა და საჩივრებს იმ კუთხით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე უფლებამოსილების ფარგლებში. შემდგომ ინსპექტორის დასკვნები და წინადადებები საბჭოს წარედგინება და საბჭო, თავის მხრივ, წყვეტს დისციპლინურ სამართალწარმოებას მოსამართლის მიერ კანონით გათვალისწინებულ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტის ან ბრალეული ჩადენის დაუდასტურებლობის მოტივით.<sup>101</sup> პროექტის ფარგლებში დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის თანამშრომელთა გამოკითხვისას ერთ-ერთ გამოწვევად სწორედ დისციპლინური განცხადების/საჩივრის ავტორთა დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის მიზნის გაუცნობიერებლობის გამო, სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით ჭარბი რაოდენობით შესული საჩივრები დასახელდა. მათი თქმით, გარდა იმისა, რომ აღნიშნული ზრდის დისციპლინური საქმეების/განცხადებების რაოდენობის სტატისტიკას, მოითხოვს დიდ ადამიანურ რესურსს და გავლენას ახდენს საბჭოს მიერ მოსამართლის პასუხისმგებლობაში მიცემისა და შეწყვეტილი საქმეების რაოდენობას შორის სხვაობაზე.



100 აღნიშნული ცვლილება კანონმდებლობაში შევიდა 2012 წლის მარტში და განხილულია მომდევნო ქვეთავში.

101 აღნიშნული საქმეებია N108/17, N141/17, N153/17, N198/17, N196/17, N158/17, N164/17, N144/17, N180/17, N120/17 და ა.შ.

102 წყარო: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისათვის 2018 წლის 5 დეკემბრის და 2019 წლის 18 იანვრის წერილები N84/3312-03-თ და N13/35-03-თ. მონაცემები მითითებულია შესაძლო დისციპლინური გადაცდომების რაოდენობა (დისციპლინური საქმე რიგ შემთხვევებში მოიცავს ერთზე მეტი გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტს).

## მეტი, ვიდრე სამართლებრივი შეცდომა (Legal error plus)

დისციპლინური გადაცდომის საფუძვლებთან კავშირში დღემდე გამონვევად რჩება მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა კანონის ნორმის განმარტებისთვის.

კანონის ნორმის განმარტებისა და სამართლებრივი შეცდომისთვის მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას ვენეციის კომისია ჯერ კიდევ 2007 წლის დასკვნაში აკრიტიკებდა და მიუთითებდა, რომ მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე კანონის ნორმის არასწორი განმარტება სასამართლო (სააპელაციო ან საკასაციო) წესით უნდა გამოსწორებულიყო და კანონის დარღვევისთვის მისი დისციპლინური წესით დასჯა მოსამართლის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგებოდა.<sup>103</sup>

ამ მხრივ ერთგვარად დაიხვეწა საქართველოს კანონმდებლობა 2012 წლის მარტში შეტანილი ცვლილებებით და კანონს დაემატა ახალი ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ვრცელდება მოსამართლის მიერ სამოსამართლო საქმიანობის პროცესში კანონის არასწორ განმარტებაზე, რომელსაც მოსამართლის შინაგანი რწმენა უდევს საფუძვლად.<sup>104</sup> აღნიშნული ნორმა მოსამართლის დამოუკიდებლობის გაძლიერების მხრივ დადებით ცვლილებად შეფასდა. მართალია, კანონის დღეს არსებული რედაქცია კანონის ნორმის განმარტებისთვის მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას აღარ ითვალისწინებს, თუმცა პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა კანონის ნორმის განმარტება მოსამართლის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობად ან არაჯეროვან შესრულებად არის დაკვალიფიცირებული.<sup>105</sup> მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის კუთხით, აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს დისციპლინური გადაცდომის სახეების დახვეწის აუცილებლობაზე.

დღეს მოქმედი დისციპლინური გადაცდომის სახეები პირდაპირ არ ითვალისწინებს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, როდესაც მოსამართლის შეცდომას თან ერთვის მისი არაკეთილსინდისიერი ქმედება და მოსდევს მნიშვნელოვანი ზიანი. აღნიშნულ საკითხზე საერთაშორისო ორგანიზაციები ხაზს უსვამენ სამართლებრივი შეცდომისას მოსამართლის დაცვას დისციპლინური პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლე კეთილსინდისი-

103 Opinion on the Law on Disciplinary Responsibility and Disciplinary Prosecution of Judges of Common Courts of Georgia adopted by the Venice Commission at its 70th Plenary Session, 2007), პუნქტი 29.

104 აღნიშნულ ნორმას ითვალისწინებს დღევანდელი ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

105 იხ. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება <http://dcj.court.ge/uploads/Legislation/GEO-Legislation/sa-disciplinokolegiis2016wlis20maisgadawyvetileba.pdf> და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, რომელმაც უცვლელად ძალაში დატოვა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/21-ivlisi-9-16.pdf> [წდომის თარიღი: 05.12.2018].

ერად მოქმედებს და არ მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამართლებრივი შეცდომა ჩადენილია წინასწარი შეცნობით, კორუფციული თუ სხვა არასათანადო მოტივით.<sup>106</sup>

საქართველოში არსებული პრაქტიკა სამართლებრივი შეცდომისთვის მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაძლებლობას უშვებს, თუ მოსამართლე მოქმედებს განზრახ და მისი ქმედება მნიშვნელოვან ზიანს იწვევს. მაგალითისთვის, 2013 წლის 12 აპრილის სადისციპლინო კოლეგიის N 1/04-12 გადაწყვეტილებაში კოლეგია მსჯელობს შემთხვევაზე, როდესაც სამართლებრივ შეცდომას შესაძლოა მიეცეს დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია თუ სამართლებრივი შეცდომა ვნებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესს, თუ შეცდომამ გამოიწვია საჯარო წესრიგის დარღვევა, აგრეთვე, თუ მოსამართლემ წინასწარ იცოდა, რომ უშვებდა შეცდომას და მაინც ჩაიდინა, მაშინ აღნიშნულს შეიძლება მიენიჭოს დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, მოსამართლის მოტივს, მის დამოუკიდებულებას დაშვებული შეცდომის მიმართ, თუ რამდენად კეთილსინდისიერად მოქმედებდა იგი.<sup>107</sup> აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პრაქტიკაში ამ მიმართულებით არაერთგვაროვნება შეინიშნება.<sup>108</sup>

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უფრო მყარი გარანტიების უზრუნველსაყოფად და ერთგვაროვანი პრაქტიკის დასანერგავად მნიშვნელოვანია, ნათლად გაინეროს კანონში, თუ რა დამატებითი გარემოებების შემთხვევაში შეიძლება დადგეს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი სამართლებრივი შეცდომის დაშვებისას. ამ მიმართულებით საინტერესოა მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების ამერიკული, კერძოდ კალიფორნიის შტატის მოდელი, რომელიც მხარს უჭერს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას სამართლებრივი შეცდომის დაშვებისას სხვა დამატებითი გარემოებების არსებობის შემთხვევაში. კერძოდ, თუ ქმედება ჩადენილია არაკეთილსინდისიერებით, მიკერძოებით, ეწინააღმდეგება ნათლად ჩამოყალიბებულ სამართლის ნორმას, განხორციელებ

106 მაგალითისთვის იხ: ევროპის საბჭოს მინისტრთა რეკომენდაცია N 2010 (12) პუნქტი 66, European Networks of Councils for the Judiciary-ს რეკომენდაცია დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მოსამართლეთა სტანდარტების მინიმუმზე გვ.39-40 [ხელმისაწვდომია [https://www.ency.eu/images/stories/pdf/GA/Hague/encj\\_report\\_minimum\\_standards\\_v\\_adopted\\_ga\\_june\\_2015.pdf](https://www.ency.eu/images/stories/pdf/GA/Hague/encj_report_minimum_standards_v_adopted_ga_june_2015.pdf) წვდომის თარიღი 05.12.2018]. აგრეთვე, ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N3 – მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ, პუნქტი 55.

107 სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება [ხელმისაწვდომია <http://dcj.court.ge/geo> წვდომის თარიღი: 05.12.2018]


108 მოსამართლის შეცდომაზე სადისციპლინო პრაქტიკის არაერთგვაროვნების შესახებ იხ. მოსამართლე სულაკაძისა და დისციპლინური საქმე N 1/04-12 ანალიზი: კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, სასამართლო სისტემა: რეფორმები და გამოწვევები, 2017. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემა, გვ. 121-123.

ბულია თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით და უგულებელყოფს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს.<sup>109</sup>

პროფესიული ჯგუფების გამოკითხვის ფარგლებში გამოკითხულ მოსამართლეთა უმრავლესობის შეფასებით, გადაცდომის არსებული სახეები ზოგადი და განუჭვრეტელია, ხოლო შევითხვამე, უნდა ეკისრებოდეს თუ არა დისციპლინური პასუხისმგებლობა მოსამართლეს სამართლებრივი შეცდომისთვის, თუ შეცდომას თან ახლავს წინასწარი განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა, მათი უმრავლესობა მიემხრო აზრს, რომ მოსამართლე დისციპლინურად უნდა ისჯებოდეს სამართლებრივი შეცდომისთვის, როცა შეცდომას თან ახლავს მისი არაკეთილსინდისიერი ქმედება და ინვესტ მნიშვნელოვან ზიანს.

## დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური

სასამართლო სისტემის „მესამე ტალღით“ განხორციელებული ცვლილებებით, სასამართლო სისტემაში შემოიღეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, რომელსაც საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ობიექტური, მიუკერძოებელი და სრულყოფილი გამოკვლევა და წინასწარი შემოწმება დაევალა.



დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შექმნა წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, რადგან ამით დისციპლინური სამართალწარმოების საწყის ეტაპზე შეიზღუდა საბჭოს მდივნის ექსკლუზიური უფლებამოსილებები. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შექმნა დადებითად შეფასდა ვენეციის კომისიის 2018

109 იხ. კალიფორნიის შტატის კონსტიტუცია მუხლი VI, § 18, კალიფორნიის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი მუხლი 1, სასამართლოს განმარტება საქმეზე Oberholzer v. Commission on Judicial Performance (1999) 20 Cal.4th 371 ხელმისაწვდომია: <https://law.justia.com/cases/california/supreme-court/4th/20/371.html> (წვდომის თარიღი 05.12.2018) ე.წ. „legal error plus“-ისთვის მოსამართლეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას მხარს უჭერდა კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის კვლევაში, სასამართლო სისტემა: რეფორმები და გამოწვევები, 2017. მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემა, გვ. 122.

წლის 17 დეკემბრის N937/2018 დასკვნაშიც, სადაც აღინიშნა, რომ საქართველოს სასამართლო სისტემაში ინსპექტორის თანამდებობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, კანონმდებლობით გათვალისწინებული იყოს ინსპექტორის დამოუკიდებლობის გარანტიები და მისი ანგარიშვალდებულება.<sup>110</sup> დასკვნაში მითითებული მსჯელობა ხაზს უსვამს ფაქტს, რომ მოქმედი კანონმდებლობით არ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი ინსპექტორის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გარანტიები და არსებობს ცალკეული ხარვეზები მისი უფლებამოსილების ფარგლებსა და მოვალეობებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კანონმდებლობაში დაზუსტებული არ არის საჯარო სამსახურში დამოუკიდებელი ინსპექტორის სტატუსი.

### ინსტიტუციური დამოუკიდებლობა

ორგანული კანონის მიხედვით, დამოუკიდებელ ინსპექტორს 5 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია უფლებამოსილია სრული შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ით, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართოს წინადადებით, დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.<sup>111</sup>

იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისგან.<sup>112</sup> საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობას ქმნიან საბჭოს მოსამართლე წევრები, რომელთა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის შემთხვევების გამოკვლევა ევალება დამოუკიდებელ ინსპექტორს. თანამდებობაზე დანიშნისა და გათავისუფლების ორგანული კანონით დადგენილი წესი ვერ უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების რეალურ გავლენას ინსპექტორის შერჩევისა და გათავისუფლების პროცესზე და ინსპექტორს, გარკვეულწილად, საბჭოს მოსამართლე წევრებზე დამოკიდებულს ხდის. გარდა ამისა, კანონი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების ზოგადი და ფართო საფუძვლით შემოიფარგლება და ცხადად არ არის

110 Opinion No. 937 / 2018 by European Commission For Democracy Through Law (Venice Commission) Opinion on the provisions on The Prosecutorial Council in the draft Organic Law on the Prosecutor's Office and on the provisions on the High Council Of Justice in The existing Organic Law On General Court, Para. 51. Para. 51 [ხელმისაწვდომია [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2018\)029-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)029-e) წვდომის თარიღი 20.12.2018]

111 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

112 მათგან 8 წევრს კანონით დადგენილი წესით ირჩევს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, 5 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, 1 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კი თანამდებობრივად შედის საბჭოს შემადგენლობაში.

განერილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა და წესი.<sup>113</sup>

ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების წესის ერთ-ერთი ზოგადი საფუძველი – მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება<sup>114</sup> მეტისმეტად ბუნდოვნად და, შესაბამისად, კრიტიკულად შეფასდა, აგრეთვე, ვენეციის კომისიის 2018 წლის დასკვნაში.<sup>115</sup> ვინაიდან არ არსებობს ობიექტური კრიტერიუმი დაკისრებული მოვალეობის ჯეროვანი და არაჯეროვანი შესრულებისა, ვენეციის კომისია კანონმდებელს ჩანაწერის ცვლილებისა და ინსპექტორის გათავისუფლების საფუძვლების მეტი კონკრეტიკისკენ მოუწოდებს. დამოუკიდებელ ინსპექტორს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია. მას დისციპლინურ საჩივარში, განცხადებასა თუ კანონით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციაში მითითებულ სავარაუდო დისციპლინურ გადაცდომაზე გარემოებების გამოკვლევა ევალება. იუსტიციის უმაღლესი საბჭო სწორედ მის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე იღებს გადანყვეტილებას. აქედან გამომდინარე, დისციპლინური სამართალწარმოების მიმართ საზოგადოების ნდობის დიდი წილი დამოუკიდებელ ინსპექტორზე მოდის. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ინსპექტორის თანამდებობაზე არჩევა და გათავისუფლება მოხდეს ღია და მაქსიმალურად გამჭვირვალე წესით, რათა შეირჩეს ღირსეული კანდიდატი, რომელიც დააკმაყოფილებს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კრიტერიუმებს.

დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე ასარჩევად კონკურსის წესის დადგენა ორგანულმა კანონმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტს მიანდო.<sup>116</sup> იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2017 წლის 31 მარტს საბჭოს რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების<sup>117</sup> თანახმად კი, დამოუკიდებელი ინსპექტორის შესარჩევი კონკურსი განისაზღვრა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, რომელიც გულისხმობდა განცხადების გადარჩევისა და კონკურსანტებთან გასაუბრების ეტაპებს.<sup>118</sup> თუმცა არსად არ იყო განერილი გასაუბრებაზე

113 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51<sup>1</sup>-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

114 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51<sup>1</sup>-ე მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

115 Opinion No. 937 / 2018 by European Commission For Democracy Through Law (Venice Commission) Opinion on the provisions on The Prosecutorial Council in the draft Organic Law on the Prosecutor's Office and on the provisions on the High Council Of Justice in The existing Organic Law On General Court, Para. 51. [ხელმისაწვდომია [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2018\)029-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)029-e), წვდომის თარიღი: 30.01.2019]

116 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

117 იხ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადანყვეტილება, [ხელმისაწვდომია: <http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/34-2017.pdf>, წვდომის თარიღი 05.12.2018]

118 დამოუკიდებელი ინსპექტორის შერჩევისთვის გამოცხადებული კონკურსის პირობები შეგიძლიათ იხილოთ: [https://www.hr.gov.ge/JobProvider/UserOrgVaks/Details/42986, წვდომის თარიღი: 28.05.2017 და <https://www.hr.gov.ge/JobProvider/UserOrgVaks/Details/45482>, წვდომის თარიღი: 06.11.2017]

ინსპექტორის შერჩევის კრიტერიუმები, კონკურსის პრინციპები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. შედეგად, ცვლილებების ამოქმედებიდან 9 თვის დაგვიანებით (შერჩევის პროცესი მოიცავდა ერთ ჩაშლილ კონკურსს), დახურული, გამჭვირვალობას მოკლებული პროცესით, თანამდებობაზე დაინიშნა დამოუკიდებელი ინსპექტორი და კიდევ უფრო მოგვიანებით დაკომპლექტდა სრულად მისი სამსახური. აღნიშნულმა გამოიწვია დისციპლინურ საჩივრებზე/განცხადებებსა და კანონით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების დაგვიანება და სხვა გაჭიანურებული პროცესები.<sup>119</sup>

ფინანსური დამოუკიდებლობის მხრივ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორგანული კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო განსაზღვრება საბჭოს მიერ და ინსპექტორს არ აქვს შესაძლებლობა, განსაზღვროს თავისი აპარატის წევრთა რაოდენობა და მათი თანამდებობრივი სარგოები.<sup>120</sup> აღნიშნული ფუნქციები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელშია, რაც ისევ და ისევ ქმნის/ზრდის აღნიშნული ინსტიტუტის საბჭოზე დამოკიდებულების რისკს.

პროექტის ფარგლებში პროფესიული ჯგუფების გამოკითხვისას დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შექმნა ყველა მოსამართლემ დადებითად შეაფასა. ამგვარი შეფასების ერთ-ერთ მიზეზად საზოგადოების მხრიდან ნდობის ამაღლების კუთხით პოზიტიური ნაბიჯები დასახელდა. ინსპექტორის შერჩევის არსებული წესი კი არც ერთი მოსამართლისთვის პრობლემური არ აღმოჩნდა.

დამოუკიდებელი ინსპექტორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით კითხვა დაესვათ დამოუკიდებელ ინსპექტორსა და მისი სამსახურის თანამშრომლებს. ყველა მათგანი მიიჩნევს, რომ დღეს ინსპექტორი საკმარისად დამოუკიდებელია, თუმცა, რაც შეეხება არჩევა-გათავისუფლების წესს, გამოკითხულთა უმეტესობის აზრით, კარგი იქნება, თუ დანიშნვის პროცესში საბჭოს არამოსამართლე წევრების ხმებს გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ექნება. მათივე აზრით, ინსპექტორის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება უნდა საჩივრდებოდეს საერთო წესით, სასამართლოებში.

119 დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისათვის მიწერილი 2018 წლის 1-ლ აგვისტოს N1734/2185-03-ლ წერილიდან ირკვევა, რომ 2017 წელს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს წარმოებაში ჰქონდა 131 საჩივარი 159 დისციპლინურ საქმეზე. აქედან, თანამდებობაზე არჩევის შემდეგ ინსპექტორს განსახილველად გადაეცა 102 საჩივარი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: [<http://independent-inspector.ge/Legislation/Decision/17>, წვდომის თარიღი 05.12.2018]

120 მე-4 ტალღის ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტი ინსპექტორის დამოუკიდებლობის გაზრდის კუთხით ითვალისწინებს მისი თანამდებობრივი სარგოს კანონით განსაზღვრას. თუმცა კანონპროექტი ჯერ პარლამენტში ინიცირებული არ არის. წყარო: ადამიანის უფლებების სწავლების და განვითარების ცენტრისა (EMC) და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ჩრდილოვანი ანგარიში – სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მდგომარეობა, 2018, გვ.84.

## დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილების ფარგლები

მისასაღმებელია, რომ ინსპექტორის სამსახური წარმოადგენს ერთადერთ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია, დაიწყოს დისციპლინური სამართალწარმოება. მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, რომ არსებობს ცალკეული ხარვეზები დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა, ეჭვქვეშ დააყენოს ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა.

მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს დამოუკიდებელი ინსპექტორი. მისივე მოვალეობაა, აგრეთვე, დისციპლინური საქმის წინასწარ შემოწმება და გამოკვლევა. დამოუკიდებელი ინსპექტორი თავის დასკვნებსა და მოსაზრებებს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს. მის საქმიანობაში ჩარევა დისციპლინურ სამართალწარმოებაზე ზეგავლენის მოსახდენად დაუშვებელია. ინსპექტორი ვალდებულია, მოიკვლიოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.<sup>121</sup>

ინსპექტორი ვალდებულია, საჩივრის/განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღებიდან 2 თვის ვადაში წინასწარ შეამოწმოს მისი საფუძვლიანობა. იგივე ვადა აქვს მას დისციპლინური საქმის გამოსაკვლევად და აღნიშნული ვადა ორივე შემთხვევაში შესაძლოა, 2 კვირით გაგრძელდეს. დისციპლინური საქმის გამოკვლევისგან განსხვავებით, კანონით არ არის განერილი, თუ რა მოქმედებებს უნდა მიმართოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა დისციპლინური საქმის საფუძვლიანობის წინასწარ შემოწმებისას. გამოკვლევის პროცესში მას შეუძლია, წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას საჩივრის (განცხადების) ავტორსა და, სურვილის შემთხვევაში, იმ მოსამართლეს, რომლის მიმართაც საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყებისა და მისთვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს დისციპლინური გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტი და მასალა, მიიწვიოს სხვა პირი და მოისმინოს მისი ინფორმაცია. განიხილოს იმ მოსამართლის შუამდგომლობა, რომლის მიმართაც წარმოებს დისციპლინური დევნა.<sup>122</sup>

ორგანული კანონის მიხედვით, ბუნდოვანია, თუ რა ეტაპზე წარუდგენს ინსპექტორი საბჭოს თავის დასკვნებსა და მოსაზრებებს, წინასწარი შემოწმების დასრულების (დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შეფასების), გამოკვლევის დასრულების, თუ ორივე შემთხვევაში. აღნიშნული არ ირკვევა არც საბჭოს მიერ

121 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51<sup>1</sup> და 75<sup>6</sup> და 75<sup>10</sup> მუხლები.

122 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლი.

თავის ვებგვერდზე გამოქვეყნებული დისციპლინური პასუხისმგებლობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებებიდან. ინსპექტორის სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ ინსპექტორი წარუდგენს დისციპლინური დევნის დაწყებამდე საბჭოს თავის დასკვნას და მოსაზრებებს, თუმცა არაფერია ნათქვამი მის დასკვნაზე მოსამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ საკითხის საბჭოს მიერ გადაწყვეტისას.<sup>123</sup> დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ საბჭოს მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის გადაწყვეტისას ინსპექტორი მოკლებულია დასკვნისა და წინადადებების წარდგენის უფლებამოსილებას და მისი ჩართულობა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში შემოიფარგლება მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების ეტაპით. აღნიშნული იმსახურებს კრიტიკას, ვინაიდან დისციპლინური სამართალწარმოების საწყის, თუმცა ძირითად ნაწილს, სწორედ ინსპექტორი ასრულებს და მასვე აქვს პირველადი შეხება დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა თუ ინფორმაციაზე. დისციპლინური საქმის გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული ძირითადი ქმედებები დისციპლინური საქმის გამოკვლევას უკავშირდება.


დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მზარდია სამსახურში შესული დისციპლინური საჩივრების/განცხადებების რაოდენობა. ამასთან, კანონი არ ითვალისწინებს ინსპექტორის მხრიდან ხარვეზის დადგენისა და მისი აღმოფხვრისთვის (საჩივრის/განცხადების სრულყოფილად წარდგენისთვის) დამატებითი ვადის განსაზღვრის შესაძლებლობას.

ქვემოთ მოცემულია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში 2017 და 2018 წლებში შესული დისციპლინური საჩივრები/განცხადებები ან დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის თაობაზე კანონით გათვალისწინებული სხვა ინფორმაციის რაოდენობა დაყოფილი დისციპლინური გადაცდომის სახეების მიხედვით.<sup>124</sup>

123 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის მიწერილი 2018 წლის 20 ივლისის წერილი N FOI 07/18-005 და დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 1-ლი აგვისტოს პასუხი, წერილი N1734/2185-03-ო.

124 მონაცემები მოიცავს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შექმნიდან 2019 წლის 10 იანვრამდე ინსპექტორის სამსახურში შესული დისციპლინური საჩივრების/განცხადებების ან კანონით გათვალისწინებული სხვა ინფორმაციის რაოდენობას. მონაცემები, აგრეთვე, მოიცავს აქტის კანონიერების საფუძვლით შესულ დისციპლინურ საჩივრებს/განცხადებებს, რომელთაც, თუმცა კანონით განსაზღვრულ დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში არ ვხვდებით, უფრო მეტიც, ორგანული კანონი კრძალავს დისციპლინური სამართალწარმოების დროს მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე შედამხედველობას, მაგრამ ინსპექტორის სამსახურში მაინც ჭარბობს აღნიშნული საფუძვლით შესული საჩივრები/განცხადებები.

დისციპლინური საჩივრების რაოდენობა 2017-2018 წ. <sup>125</sup>



კანონი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში შესული საჩივრის/განცხადების ან კანონით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციაზე მოსამართლის ინფორმირების ვალდებულებას იუსტიციის უმაღლეს საბჭოს აკისრებს,<sup>126</sup> მაშინ, როცა სწორედ ინსპექტორის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება და პირველად მასთან იყრის თავს ნებისმიერი დისციპლინური საჩივარი, განცხადება თუ კანონით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის თაობაზე. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პრაქტიკაში არა საბჭო, არამედ დამოუკიდებელი ინსპექტორი აცნობებს მოსამართლეს შესული საჩივრის/განცხადების ან სხვა ინფორმაციის შესახებ. აღნიშნული პრაქტიკა მისასაღმებელია, თუმცა კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ნორმა ხარვეზად რჩება.

ამავე მიზეზით, კრიტიკას იმსახურებს მოსამართლის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობისას დამოუკიდებელი ინსპექტორის ნაცვლად დისციპლინური სამართალწარმოების შეჩერებასა და საგამოძიებო ორგანოებისთვის მიმართვაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილ ორგანოდ განსაზღვრა.

125 წყარო: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისათვის 2018 წლის 5 დეკემბერსა და 2019 წლის 18 იანვარს მიწერილი წერილები N84/3312-03-ო და N13/35-03-ო. მონაცემებში მითითებულია შესაძლო დისციპლინური გადაცდომების რაოდენობა (დისციპლინური საქმე რიც შემთხვევებში მოიცავს ერთზე მეტი გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტს).

126 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>ე</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

გარდა ამისა, ორგანულ კანონში არ არის განერილი ინსპექტორის მიერ მოძიებული ინფორმაციის შეფასებისა და საქმის მსვლელობისთვის დაწესებული სტანდარტი, ასევე მტკიცებულებათა ერთობლიობის ხარისხი, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ინსპექტორის დასკვნა მოსამართლის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არსებობა/არარსებობის შესახებ. აღნიშნული ასევე მნიშვნელოვანია დისციპლინურ საკითხზე საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

ორგანულ კანონში ნათლად არ არის განერილი დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნის როლი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში. კერძოდ, ორგანულ კანონში არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი ნორმა იმის თაობაზე, აქვს თუ არა ინსპექტორს უფლებამოსილება, მიმართოს საბჭოს დისციპლინური დევნის (არ) დაწყებისა და მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში (არ) მიცემის თაობაზე რეკომენდაციით.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის თანამშრომელთა უმრავლესობა არ ეთანხმება აზრს, რომ ჰქონდეთ უფლება, შეაჩერონ დისციპლინური საქმე და მიმართონ შესაბამის ორგანოებს, თუ მოსამართლის ქმედებაში იკვეთება დანაშაულის ნიშნები. გამოკითხულებმა უპირატესობა მიანიჭეს აღნიშნული საკითხის კოლეგიური ორგანოს მიერ გადაწყვეტას. ისინი, აგრეთვე, არ ეთანხმებიან აზრს, რომ ინსპექტორს მიენიჭოს უფლებამოსილება, გაასაჩივროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე.

## დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის გამჭვირვალობა

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის გამჭვირვალობა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. კერძოდ, არ ქვეყნდება დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები. პროცესის გუნდმა კვლევის ფარგლებში გამოითხოვა ცალკეულ დისციპლინურ საქმეებზე დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები, მხარეთა მაიდენტიფიცირებული მონაცემების დაფარვით, თუმცა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის კონფიდენციალურობაზე დაყრდნობით, აღნიშნული დასკვნები ინსპექტორის მხრიდან არ მოუწოდებიათ.<sup>127</sup>

საბჭოს მიერ დღემდე გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებებში ვრცელი და ნათელია დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად მოკვლეული მასალები, თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილში ჩანს დამოუკიდე-

127 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის 2018 წლის 4 სექტემბერს მიწერილი წერილი FOI09/14-002 და დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 14 სექტემბრის პასუხი, წერილი N14/6-03-ი.

ბელი ინსპექტორის დასკვნის შინაარსი მოსამართლის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არსებობა/არ არსებობის შესახებ.<sup>128</sup>

ორგანული კანონით, აგრეთვე, არ არის განსაზღვრული ინსპექტორის ვალდებულება, პროაქტიულად, გარკვეული პერიოდულობით გამოაქვეყნოს საბჭოსათვის მიმართვის, გადაცდომის საფუძვლებისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის მიმართვის საფუძველზე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია. ამჟამად ორგანულ კანონში აღნიშნულია, რომ ინსპექტორი მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს თავისი საქმიანობის ანგარიშს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და მოსამართლეთა კონფერენციას.<sup>129</sup>

გამოკითხულ მოსამართლეთა უმრავლესობა ემხრობა აზრს, რომ მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე ქვეყნდებოდეს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნები.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ისინი რეგულარულად ანარმოებენ სამსახურში შესული მოსამართლეთა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის რაოდენობის, გადაცდომის საფუძვლებისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის მიმართვის საფუძველზე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას.

## დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის სხვა ასპექტები

სასამართლო რეფორმის „მესამე ტალღის“ ცვლილებების შედეგად გარკვეულწილად დაიხვეწა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, შემოღებულ იქნა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი, დადგინდა დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევისთვის ვადები, მოსამართლეს მიეცა დისციპლინური სხდომების გასაჯაროების უფლება, საბჭოს დაევალა დისციპლინური საქმის შეწყვეტაზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და ვებგვერდზე გამოქვეყნება და ა.შ. თუმცა პოზიტიურ ცვლილებებთან ერთად კვლავ კრიტიკას იმსახურებს ბევრი საკვანძო საკითხი, რომელიც ქვემოთ დეტალურად არის განხილული. კრიტიკულად უნდა შეფასდეს ცვლილებების თანმდევი გარდამავალი დებულება, რომელმაც დაადგინა, რომ ცვლილებების ამოქმედებამდე ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა და/ან უკვე დაწყებული დისციპლინური საქმეების წარმოება უნდა წარმართულიყო ცვლილებებამდე არსებუ-

128 2018 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებები დისციპლინურ საქმეებზე N50-17, N78-17, N99-17, N114-17, N118-17, N119-17, N120-17, N130-17, N136-17, N139-17, N140-17, N144-17, N146-17, N146-17-1, N146-17-2, N150-17 და N159-17.

129 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51<sup>1</sup>-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

ლი წესით.<sup>130</sup> შესაბამისად, ის მოსამართლეები, რომელთა მიმართ დისციპლინური წარმოება დაიწყო ან რომელთაც დისციპლინური გადაცდომა ჩაიდინეს „მესამე ტალღის“ ცვლილების ამოქმედებამდე, აღმოჩნდნენ დიფერენცირებულ მდგომარეობაში, რადგან ვერ ისარგებლებდნენ „მესამე ტალღის“ ცვლილებით გათვალისწინებული გაუმჯობესებული წესებით. შედეგად, არსებითად თანასწორი პირობები (როგორც მოსამართლეები, ისე საჩივრის/განცხადების ავტორები) მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში აღმოჩნდნენ.

### კონფიდენციალურობა

მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების მნიშვნელობიდან გამომდინარე, დისციპლინური პროცესის გამჭვირვალობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გამჭვირვალობა არის სასამართლოს მიმართ საზოგადოებრივი ნდობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და იცავს მას სასამართლოს შიგნით პოლიტიკური გავლენის საფრთხის რისკისგან ან პირადი ინტერესით მოქმედებისგან.<sup>131</sup> დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილე მოსამართლის ინტერესების დაცვის მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციები რეკომენდაციას უწევენ, დისციპლინური საქმის საწყის ეტაპზე დაცული იყოს კონფიდენციალურობა.<sup>132</sup> აღნიშნულს მხარს უჭერს, აგრეთვე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში საქართველოს სახალხო დამცველი და მოქალაქე ქეთევან ბახტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომელშიც სასამართლო დისციპლინური პროცესის კონფიდენციალურობას სასამართლოსა და მოსამართლის მაღალ საზოგადოებრივ ავტორიტეტსა და მის დაცვა-შენარჩუნებასთან აკავშირებს.<sup>133</sup>

ორგანული კანონით, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია, თუმცა სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღით“ გათვალისწინებული ცვლილებებით, მოსამართლეს უფლება აქვს, გაასაჯაროოს დისციპლინურ

130 საქართველოს 2017 წლის 8 თებერვლის კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე მე-2 მუხლი. აღნიშნული ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოში საქართველოს სახალხო დამცველმა გაასაჩივრა და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [<http://www.constcourt.ge/ge/court/sarchelebi> სარჩელი N1291, წვდომის თარიღი: 30.10.2018]


131 ვენეციის კომისიის დასკვნა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა კანონპროექტზე (2014), პარაგრაფი 17.

132 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, პარაგრაფი 17; European Networks of Councils for the Judiciary-ს რეკომენდაცია დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში მოსამართლეთა სტანდარტების მინიმუმზე, გვ.36.

133 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება [ხელმისაწვდომია: <http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-saxalxo-damcveli-da-saqartvelos-moqalaxe-qetevan-baxtadze-saqartvelos-parlamentis-winaagmdg-121.page>, წვდომის თარიღი 05.12.2018]

პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამართული სხდომა (გარდა თათბირისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურისა) და სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის სხდომები.<sup>134</sup> აღნიშნული წინ გადადგმულ ნაბიჯად ფასდება იმდენად, რამდენადაც, ერთი მხრივ, მოსამართლის უფლებების დაცვას, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოების მხრიდან დისციპლინური სამართლწარმოების პროცესის კონტროლის ინტერესს ემსახურება.

„მესამე ტალღის“ ცვლილებების ძალაში შესვლიდან დღემდე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად სულ 12 სხდომა გაიმართა და არც ერთ შემთხვევაში მოსამართლევს არ გაუსაჯაროებიათ სხდომები. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრაქტიკაში არ არსებობს შემთხვევა ღია დისციპლინური სხდომისა, რომელზეც დაინტერესებულ პირებს დასწრებისა და პროცესის მონიტორინგის საშუალება მიეცემოდათ.<sup>135</sup>



პროფესიული ჯგუფების გამოკითხვის ფარგლებში მოსამართლეთა უმრავლესობა დადებითად აფასებს მოსამართლის უფლებას, გაასაჯაროს დისციპლინური სხდომები. შეკითხვაზე, გაასაჯაროებდნენ თუ არა მათ საქმესთან დაკავშირებით


134 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>4</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

135 აღნიშნული დასტურდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისათვის 2019 წლის 18 იანვარს მიწერილი N13/35-03-ო წერილიდან.

გამართულ შესაძლო დისციპლინურ სხდომას, გამოკითხული მოსამართლეების ნახევარმა დადებითად უპასუხა.

## წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის ვადები

განსხვავებით ცვლილებებამდე არსებული ვითარებისა, როცა არ არსებობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემის ან სამართალწარმოების შეწყვეტის ვადები, „მესამე ტალღით“ დაკონკრეტდა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის, აგრეთვე, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის ვადები.



დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში ვადების განსაზღვრა წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან თავიდან იცილებს გაუმართლებლად გაჭიანურებულ პროცესებს და საბჭო ვალდებული ხდება, დადგინდეს ვადაში დისციპლინური გადაცდომის დაუდგენლობის გამო შეწყვიტოს პროცესი. დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე დაგვიანებით დანიშვნის გამო, სამწუხაროდ, პრაქტიკიდან შეუძლებელია, დადგინდეს, თუ რამდენად რეალისტურია ორგანული კანონით დადგენილი ვადები. პროფესიული ჯგუფების გამოკითხვა ცხადყოფს, რომ ყველა გამოკითხული მოსამართლე ისევე, როგორც დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლები, დადებითად და საკმარისად აფასებენ კანონით გათვალისწინებულ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის ვადებს.

მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების ეტაპები:



დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შექმნიდან 2018 წლის 8 ოქტომბრამდე<sup>136</sup> ყველა დისციპლინური სამართალწარმოება, რომელიც საბჭოს მიერ სხვადასხვა

<sup>136</sup> მითითებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე 2019 წლის 1-ლი იანვრის დროისთვის გამოქვეყნებული გადაწყვეტილებების მიხედვით.

მიზეზის გამო შეწყდა, მიმდინარეობდა კანონით დადგენილი ვადების დარღვევით. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება, დამოუკიდებელი ინსპექტორისა და მისი აპარატის თანამშრომლების დაგვიანებით დაკომპლექტება ვივარაუდოთ, რამაც თითქმის 9 თვით შეაფერხა სასამართლო სისტემის „მესამე ტალღით“ გათვალისწინებული ცვლილებების ამოქმედება და გამოიწვია დისციპლინური საჩივრების, განცხადებებისა თუ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის შესახებ სხვა ინფორმაციის განხილვის გაჭიანურება. გადანყვეტილებებიდან რთულია, დადგინდეს, დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევების კანონით დადგენილი ვადები არის თუ არა საკმარისი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ საქმის ყოველმხრივი გამოკვლევებისთვის. გადანყვეტილებებში მითითებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნის წარმოდგენის თარიღი, მაგრამ არ ჩანს, თუ როდის დაიწყო ინსპექტორმა დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შექმნის შემდეგ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში დარღვეულია არა მხოლოდ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების, არამედ შემდეგ პროცესში განერილი სხვა ვადებიც. კერძოდ, ორგანული კანონი მოითხოვს, რომ დისციპლინური საქმის გამოკვლევა დასრულდეს მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადანყვეტილების მიღებიდან 2 თვეში. აუცილებლობის შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 კვირით. ამასთან, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეუძლია, დამოუკიდებელ ინსპექტორს დამატებითი გამოკვლევის ჩატარება დაავალოს და გამოკვლევის ვადა შესაძლოა 2 თვით გაგრძელდეს. 2019 წლის 1 იანვრამდე ვებგვერდზე გამოქვეყნებულ გადანყვეტილებებში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადანყვეტისას დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე მხოლოდ რამდენიმე გადანყვეტილებას ვხვდებით და ყველა შემთხვევაში დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის კანონით დადგენილი ვადები დარღვეულია.<sup>137</sup>

გამოქვეყნებულ გადანყვეტილებებში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებულ დასკვნას იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს ხანგრძლივი დროის დაგვიანებით. მაგალითისთვის, რამდენიმე დისციპლინური საქმიდან ირკვევა,<sup>138</sup> რომ დამოუკიდებელმა ინსპექტორმა დასკვნა

137 მაგალითისთვის, დისციპლინურ საქმეზე N83/17 იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადანყვეტილება მიიღო 2018 წლის 23 მარტს, დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტაზე კი 2018 წლის 16 ივლისს. აგრეთვე, დისციპლინურ საქმეზე N112/17, სადაც კანონით გათვალისწინებული დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების ვადა 2 თვითაა დაგვიანებული და დისციპლინურ საქმეზე N206/17, სადაც დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევაზე საბჭომ გადანყვეტილება მიიღო 2018 წლის 2 აპრილს, ხოლო მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტის ან ბრალეული? ჩადენის დაუდასტურებლობის გამო, დისციპლინური სამართალწარმოება შეწყვიტა 2018 წლის 16 ივლისს.

138 იხ. დისციპლინური საქმეები N161/17, N185/17 N187/17, N190/17, N208/17, 215/17, N216/17, N219/17, N229/17, N237/17, N199/17 აგრეთვე, №49/18, N51/18-1, N51-18-2 და სხვ.

მოამზადა 2018 წლის 30 აპრილს, რომელიც საბჭოს განსახილველად წარედგინა 2018 წლის 16 ივლისის სხდომაზე, 2018 წლის 18 ივლისის დასკვნები კი – 2018 წლის 17 დეკემბრის სხდომისთვის განსახილველად. მართალია, თანამდებობაზე დაგვიანებით დანიშვნის გამო, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა დასკვნა დაგვიანებით წარადგინა, მაგრამ ვინაიდან საბჭო დისციპლინურ საქმეებზე სხდომებს თვეში ერთხელ მართავს,<sup>139</sup> დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნები დიდი ხნის განმავლობაში რჩება განუხილველი. აღნიშნული კი კიდევ უფრო აჭიანურებს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესს.

დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის თანამშრომელთა გამოკითხვისას ყველაზე დიდ გამოწვევად დასახელდა სამსახურის დაგვიანებით დაკომპლექტების გამო დაგროვილი საქმეები, რაც ამ დრომდე იწვევს დისციპლინური სამართალწარმოების გაჭიანურებულ პროცესებს.

## საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტა

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს სასამართლო სისტემის რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში დაევალა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება და თავის ვებგვერდზე გამოქვეყნება.<sup>140</sup> აღნიშნული ცვლილება ხელს უწყობს დისციპლინურ საქმეებზე ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას და საზოგადოების მხრიდან საბჭოზე ერთგვარი კონტროლის მექანიზმს წერგავს. დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საბჭოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვალდებულება გამოკითხულ მოსამართლეთა ნახევარმა შეაფასა დადებითად.

### ა) განსხვავებული აზრი საბჭოს გადაწყვეტილებებში

კანონი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის 6 შემთხვევას ითვალისწინებს.

1) როცა სახეზეა ორგანული კანონის 75<sup>12</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შეწყვეტის საფუძვლები, კერძოდ:

ა) დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით

139 იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დისციპლინურ საკითხებზე სხდომები გამართა – 2018 წლის 26 თებერვალს, 12 მარტს, 2 აპრილს, 14 მაისს, 15 ივნისს, 16 ივლისს, 8 ოქტომბერსა და 12 დეკემბერს.

140 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup>-ე მუხლი.

გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა;

ბ) მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა;

გ) არსებობს დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ იმავე მოსამართლის მიმართ იმავე საფუძვლით გამოტანილი გადაწყვეტილება;

დ) მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება.

2) როცა დისციპლინური სამართალწარმოება წყდება მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებაზე კვორუმის მიუღწევლობის შემთხვევაში<sup>141</sup> და

3) როცა დისციპლინური სამართალწარმოება წყდება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემაზე კვორუმის მიუღწევლობის შემთხვევაში.<sup>142</sup>

ბოლო ორ შემთხვევაში ორგანული კანონი ითვალისწინებს საბჭოს იმ წევრის განსხვავებული აზრის საქმისთვის დართვას, რომელიც საბჭოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება. ამასთან, ორგანული კანონი პირდაპირ არ ადგენს განსხვავებული აზრის დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად გამოქვეყნების ვალდებულებას. უნდა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარმოადგენს კოლექტიურ ორგანოს, საბჭოს წევრთა განსხვავებული აზრები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აღნიშნული საფუძვლებით დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტისას, არამედ კანონის 75<sup>12</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით („დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა“) დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტისას.

აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ არც ერთ გადაწყვეტილებას არ ერთვის საბჭოს წევრის განსხვავებული აზრი. ის ფაქტი, რომ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საბჭოს არც ერთ წევრს არ დაუწერია განსხვავებული აზრი, ასევე დასტურდება დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციით<sup>143</sup>. განსხვავებული აზრის დართვა დისციპ-

141 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>8</sup>-ე მუხლი.

142 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>13</sup>-ე მუხლი.

143 2019 წლის 18 იანვრის წერილი N13/35-03-თ.

ლინურ საქმეებზე და მისი გამოქვეყნება დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებებთან ერთად მნიშვნელოვანია განსაკუთრებით იმ საქმეებზე, როცა საბჭოს წევრების ხმები მკვეთრად გაყოფილია და დისციპლინური საქმის შეწყვეტაზე რეალურად 4 ან 6 წევრი ახდენს გავლენას.<sup>144</sup>

## ბ) გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მაღალი კვორუმი

დისციპლინურ საქმეებზე გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-იანი კვალიფიციური უმრავლესობით<sup>145</sup>. იგივე კვალიფიციური უმრავლესობა არის, საჭირო მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის, ასევე მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებადაც. აღნიშნული კვალიფიციური უმრავლესობის მიუღწევლობის შემთხვევაში დისციპლინური წარმოება წყდება.<sup>146</sup>

არსებული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის 699 ფაქტიდან, 33 საქმეზე დაიწყო დისციპლინური დევნა და მოსამართლე მხოლოდ ოთხ შემთხვევაში მიეცა დისციპლინურ პასუხისგებაში.<sup>147</sup> აღნიშნული პრაქტიკა ერთგვარი გაგრძელებაა მანამდე არსებული მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სანქციების იშვიათ შემთხვევებში გამოყენებისა, რადგან კვორუმის ასეთი მაღალი დანაწესი, ადრეულ ეტაპზე დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას უწყობს ხელს. დისციპლინური დევნის დაწყებისთვის ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის (2/3) საჭიროებას აკრიტიკებდა ვენეციის კომისია 2014 წელს და მიიჩნევდა, რომ ასეთი მაღალი დანაწესი ქმნიდა სერიოზულ საფრთხეს, რომ ძალიან ბევრი საჩივარი დარჩებოდა რეაგირების გარეშე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შიდა კორპორატიული მიდგომის გავლენით.<sup>148</sup>

144 დისციპლინურ საქმეებზე N139/17 და N60/17 საბჭოს 9 წევრი მიიჩნევდა, რომ მოსამართლის ქმედებაში იყო დისციპლინური გადაცდომის ნიშნები, ხოლო 4 წევრის აზრით, არ არსებობდა დისციპლინური გადაცდომის ერთმნიშვნელოვანი საფუძველი. აგრეთვე, დისციპლინური საქმე N83/17, სადაც 9 წევრი მიიჩნევდა, რომ უნდა შეწყვეტილიყო დისციპლინური სამართალწარმოება, ხოლო 6 წევრი – რომ მოსამართლე საქმის უსაფუძვლო გაჯიანურებისთვის უნდა მიეცათ დისციპლინურ პასუხისგებაში.


145 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

146 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>ე</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 75<sup>ა</sup>-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

147 მითითებულია დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის შექმნიდან 2019 წლის 10 იანვრის მდგომარეობით

148 ვენეციის კომისიის დასკვნა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებათა კანონპროექტზე (2014), პუნქტი 24

საბჭოს მიერ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის და შეწყვეტილი დისციპლინური საქმეების რაოდენობა<sup>149</sup>



თვალშისაცემი სხვაობა შეწყვეტილ საქმეებსა და მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემას შორის დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებმა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების საფუძვლით შესული საქმეების შეწყვეტის დიდი რაოდენობით ახსნეს. პროფესიული ჯგუფების გამოკითხვისას ყველა გამოკითხულმა მოსამართლემ დადებითად შეაფასა დისციპლინურ საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო საბჭოს სრული შემადგენლობის ხმათა 2/3.

### გ) სამართლებრივი შეფასების პრობლემა გადაწყვეტილებებში

საბჭოს მიერ საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილებები დასაბუთების კუთხით გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ კანონში არ არის განერილი, თუ რას უნდა შეიცავდეს დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები ისე, როგორც ეს განერილია სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებისთვის.<sup>150</sup> გარდა ამისა, კანონში არ არის ნათლად განერილი, რომ დასაბუთებას საჭიროებს დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტაზე ნებისმიერი გადაწყვეტილება. მათ შორის, დისციპლინური დევნის დაწყებისა

149 წყარო: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისათვის 2018 წლის 5 დეკემბერს და 2019 წლის 18 იანვარს მიწერილი წერილები N84/3312-03-ო და N13/35-03-ო.

150 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>51</sup>-ე მუხლი.

და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევასა და მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემაზე საბჭოს წევრთა საჭირო კვორუმის მიუღწევლობის გამო შეწყვეტილი დისციპლინური საქმეები. აგრეთვე, არ არის დაკონკრეტებული, მიღებიდან რა ვადაში უნდა გამოქვეყნდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება საბჭოს ვებგვერდზე.<sup>151</sup>

დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმების ეტაპზე შეწყვეტილი საქმეები დასაბუთებულობის კუთხით განსაკუთრებული პრობლემურობით ხასიათდება. სხვა საფუძვლით შეწყვეტილი გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით<sup>152</sup>, აღნიშნული გადაწყვეტილებები<sup>153</sup> არ შეიცავს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების შედეგად მოძიებული მასალების საბჭოს მიერ სამართლებრივ შეფასებას, მსჯელობასა და დასაბუთებულობას, თუ რატომ არის დისციპლინური დევნის დაწყება უსაფუძვლო. გადაწყვეტილებები შეწყვეტილია დასაბუთების გარეშე და მითითებულია მხოლოდ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძვლები.<sup>154</sup>

## მოსამართლის როლი და უფლებამოსილება დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში

ორგანული კანონის დღევანდელი რედაქციით, ადრინდელთან შედარებით მოსამართლე მეტად ჩართული და ინფორმირებულია მის წინააღმდეგ მიმართული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ორგანული კანონი ითვალისწინებს მოსამართლის დაუყოვნებლივ ინფორმირების ვალდებულებას მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღების თაობაზე.<sup>155</sup> თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ინფორმირება მოიცავდეს არა მხოლოდ იმის შეტყობინებას, რომ შემოსული საჩივარი/განცხადება ან კანონით გათვალისწინებული სხვა ინფორმაცია, არამედ შეტყობინებასთან ერთად, მოსამართლე უნდა იყოს ინფორმირებული, თუ რა გარემოებებმა გამოიწვია მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება.

151 პრაქტიკაში, გადაწყვეტილების მიღებიდან საშუალოდ 1 თვის დაგვიანებით ხდება გადაწყვეტილების საბჭოს ვებგვერდზე განთავსება.

152 ინსპექტორის მიერ დადგენილი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას არ შეიცავს და, შესაბამისად, დაუსაბუთებელია, აგრეთვე, დისციპლინური საქმე N140/17, რომელიც მოსამართლის მიერ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტის ან ბრალეული ჩადენის დაუდასტურებლობის გამო შეწყდა და არ შეიცავს სამართლებრივ შეფასებას.

153 იხ. დისციპლინური საქმე N139/17, N60/17 და N209/19.

154 გამონაკლისს წარმოადგენს დისციპლინური საქმე N202/17, რომელიც შეწყვეტილია 75<sup>ე</sup>-ე მუხლის საფუძველზე, შეიცავს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად მოკვლეული მასალების სამართლებრივ შეფასებას და მეტ-ნაკლებად დასაბუთებულია.

155 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>ე</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ბა. განემართოს, თუ რა შინაარსის არის განცხადება/საჩივარი ან გაეგზავნოს მისი ასლი, რათა დასაწყისშივე ინფორმირებული იყოს, თუ რა გარემოებები უდევს მის წინააღმდეგ მიმართულ დისციპლინურ სამართალწარმოებას საფუძვლად.

მოსამართლეს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სამართალწარმოება, შეუძლია, ისარგებლოს დამცველის დახმარებით მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შემდეგ. მას შეუძლია დამცველად მიიწვიოს ადვოკატი ან სხვა მოსამართლე, ან სხვა წარმომადგენელი.<sup>156</sup> დისციპლინური საქმის გამოკვლევის პერიოდში მას შეუძლია, შუამდგომლობა დააყენოს დამოუკიდებელი ინსპექტორის წინაშე, აგრეთვე, მოითხოვოს დამატებითი ახსნა-განმარტების ჩამორთმევა. მას ასევე შეუძლია, განაცხადოს დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების შესახებ და აუცილებელია მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილება, თუ ინსპექტორის მიუკერძოებლობისადმი ეჭვი საფუძვლიანია. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მიერ მონოღებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, დღემდე არც ერთ მოსამართლეს დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილება არ მოუთხოვია.<sup>157</sup>

მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის გადასაწყვეტად გამართულ სხდომაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია, მოიწვიოს მოსამართლე და სურვილისამებრ მოიწვიოს, აგრეთვე, დისციპლინური საჩივრის (განცხადების/შეტყობინების) ავტორი.

## მტკიცების სტანდარტი

„მესამე ტალღის“ ცვლილებებით, მტკიცების სტანდარტის საკითხი, გარკვეულწილად, დაზუსტდა და განისაზღვრა, რომ სადისციპლინო კოლეგია იღებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ სადისციპლინო კოლეგიაში დისციპლინური საქმის განხილვის შედეგად ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურდა აღნიშნული მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ბრალეული ჩადენა.<sup>158</sup> ორგანულ კანონში არ არის განსაზღვრული მტკიცებულებათა რელევანტურობისა და დასაშვებობის საკითხი როგორც დამოუკიდებელი ინსპექტორის, ისე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

156 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

157 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 18 იანვრის წერილი N13/35-03-ო.

158 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>46</sup>-ე მუხლი.

დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში არსებული მტკიცების სტანდარტები დადებითად შეფასდა ყველა გამოკითხული მოსამართლის მიერ.

## სადისციპლინო კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება

სადისციპლინო კოლეგია ადგენს, ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ქმედება, რომლის-თვისაც მას წარედგინა დისციპლინური ბრალდება, და კანონის შესაბამისად, არის თუ არა ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომა. სადისციპლინო კოლეგია ასევე ადგენს, მიუძღვის თუ არა მოსამართლეს ბრალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში. კოლეგია შედგება 5 წევრისგან, რომელთაგან 3-ს ირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია, ხოლო ორს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი. ორგანული კანონის მიხედვით, კოლეგია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 3 წევრი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით.<sup>159</sup> სადისციპლინო კოლეგიის უფლებამოსილებიდან გამომდინარე, კრიტიკას იმსახურებს კანონის აღნიშნული წესი – საფრთხე ექმნება დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის სამართლიანობას, ვინაიდან თეორიულად შესაძლებელია, საერთო შემადგენლობის 5 წევრიდან 2-მა მოსამართლე ბრალეულად ცნოს და დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი დააკისროს.<sup>160</sup>

## რეკომენდაციები

- მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით სასამართლო რეფორმის „მეთხე ტალღის“ ფარგლებში შემუშავებული კანონპროექტი დაიხვეწოს და დროულად წარედგინოს პარლამენტს. აგრეთვე, ორგანული კანონით ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს დისციპლინური სამართალწარმოების მიზნები, რათა თავიდან იქნეს აცილებული დისციპლინური პასუხისმგებლობის არამიზნობრივი გამოყენება. ამასთან, დისციპლინური გადაცდომის სახეები უნდა მოიცავდეს პროფესიული გადაცდომის ისეთ კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც სერიოზული და არასაპატიო ხასიათისაა<sup>161</sup> ან სახელს უტეხს მართლმსაჯულების სისტემას;<sup>162</sup>
- მნიშვნელოვანია, დისციპლინური გადაცდომის სახეები ითვალისწინებდეს

159 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>19</sup>-ე მუხლი.

160 სადისციპლინო კოლეგიის №2/01-2018, №21/01-18, №1/01-17, №1/04-12, №1/03-12, №1/02-12, №1/01-12 №1/02-11 1/01-11 გადაწყვეტილებები მიღებულია თუმცა ერთხმად, მაგრამ კოლეგიის 3 წევრის მიერ. წყარო: საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2018 წლის 14 დეკემბრის წერილი N21/03.

161 Judicial Integrity Group – The Record of the Sixth Meeting of the Judicial Group on Strengthening Judicial Integrity, Responsibilities of the State, Discipline of the Judges, პუნქტი 15.1.

162 კიევის რეკომენდაციები აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ, დისციპლინარული წარმოება, პუნქტი 25.

პასუხისმგებლობას მოსამართლის ქმედებისთვის, რომელიც ნათლად ჩამოყალიბებულ სამართლის ნორმას ეწინააღმდეგება და რომელთან დაკავშირებითაც არ არსებობს ბუნდოვანება, თუ აღნიშნული ქმედება მოსამართლემ ჩაიდინა ცხადი და დამაჯერებელი არაკეთილსინდისიერებითა და ადამიანის უფლებების უპატივცემულობით, რომელმაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია („legal error plus“). აღნიშნულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, დისციპლინური პასუხისმგებლობა დადგეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, შეცდომის დაშვების დადასტურებისას (სადაც ასეთი არსებობს);

- დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერების მხრივ მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლებისთვის საჭირო ხმათა რაოდენობა განისაზღვროს საბჭოს სრული შემადგენლობის 2/3-ით, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების ზოგადი საფუძვლები დაიხვეწოს და განისაზღვროს გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. გარდა ამისა, ინსტიტუტის ფინანსური დამოუკიდებლობის მხრივ, მნიშვნელოვანია, კანონით განისაზღვროს დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობრივი სარგო;
- საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების გაზრდისა და საქმიანობის გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელი ინსპექტორი განისაზღვროს თანამდებობის პირად საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- დამოუკიდებელ ინსპექტორს კანონით განესაზღვროს დისციპლინურ საჩივარსა და განცხადებაზე ხარვეზის დადგენისა და ხარვეზის აღმოფხვრისათვის დისციპლინური საჩივრის/განცხადების ავტორისთვის ვადის დადგენის უფლებამოსილება, რაც გაამართლებს დისციპლინური სამართალწარმოების იმ ნაწილს, რომელზეც პასუხისმგებელია დამოუკიდებელი ინსპექტორი;
- საბჭოს ნაცვლად დამოუკიდებელ ინსპექტორს განესაზღვროს მოსამართლის დაუყოვნებლივი შეტყობინების ვალდებულება და შეტყობინებაში მიეთითოს ის გარემოებები, რის გამოც მის მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება ან გაეგზავნოს საჩივრის/განცხადების ასლი. გარდა ამისა, ორგანული კანონით განისაზღვროს ინსპექტორის უფლებამოსილება, მოსამართლის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობისას შეაჩეროს დისციპლინური სამართალწარმოება და მიმართოს შესაბამის ორგანოებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თანხმობის გარეშე;
- კანონში დაზუსტდეს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოძიებული ინფორმაციის შეფასებისა და საქმის მსვლელობისთვის დაწესებული სტანდარტი და მტკიცებულებათა ერთობლიობის ხარისხი, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს ინსპექტორის დასკვნა მოსამართლის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არსებობის შესახებ. ეს საკითხი ასევე აქტუალურია საბჭოს დისციპლინურ გადაწყვეტილებებთან მიმართებით მოსამართლის მიმართ დევნის დაწყებისა და დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის თაობაზე;

- მნიშვნელოვანია, კანონში დაზუსტდეს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორი რეკომენდაციით მიმართავს საბჭოს დისციპლინური დევნის (არ) დაწყების თაობაზე. აგრეთვე, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის გადაწყვეტის ეტაპზე დამოუკიდებელი ინსპექტორი უნდა წარუდგენდეს საბჭოს დასკვნასა და მოსაზრებებს, ვინაიდან წარმოების ძირითად ნაწილს სწორედ დამოუკიდებელი ინსპექტორი ახორციელებს და მასვე აქვს პირველად შეხება დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა თუ ინფორმაციაზე;
- დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის მეტი გამჭვირვალობისთვის მნიშვნელოვანია, დამოუკიდებელ ინსპექტორს დაევალოს მის მიერ მომზადებული დასკვნების გამოქვეყნება, მხარეთა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაფარვით.
- კანონით განისაზღვროს ინსპექტორის ვალდებულება, გარკვეული პერიოდულობით პროაქტიულად, გამოაქვეყნოს სამსახურში შესული სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის რაოდენობის, გადაცდომის საფუძვლებისა და დამოუკიდებელი ინსპექტორის მიმართვის საფუძველზე საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია.
- დისციპლინური სამართალწარმოების პროაქტიკაში ნათლად გაიმიჯნოს ერთმანეთისგან დისციპლინური საქმის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევების განსახორციელებელი ქმედებები;
- არათანმიმდევრული პროაქტიკის თავიდან აცილების მიზნით მნიშვნელოვანია, საბჭოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებისთვის განისაზღვროს გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი. მათ შორის, გადაწყვეტილება ითვალისწინებდეს დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნის შინაარსის ან მისი პოზიციის არსებობას; გარდა ამისა, კანონში ნათლად უნდა გაიწეროს საბჭოს ვალდებულება გადაწყვეტილების დასაბუთების თაობაზე დისციპლინური სამართალწარმოების ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტისას;
- მნიშვნელოვანია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტის ან ბრალეული ჩადენის დაუდასტურებლობის შემთხვევაშიც ჰქონდეს უფლება, გამოხატოს განსხვავებული აზრი; გარდა ამისა, კანონით უნდა განისაზღვროს დისციპლინური საქმის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად საბჭოს წევრის განსხვავებული აზრის გამოქვეყნების ვალდებულება;
- სადისციპლინო კოლეგიის მიერ სამართლიანი (წევრთა უმრავლესობის აზრის მაქსიმალურად გათვალისწინების შესაძლებლობა) გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, დადგინდეს კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით.